№ 2843
სამშაბათი,
14 ივნისი

ცნობის ფურცელი

№ 2843
სამშაბათი,
14 ივნისი

გაზეთის ფასი: წელიწადში—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 37.

კნ. მარიამ ყარამანის ასული ნიჟარაძისა,
მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ქ. ქუთაისს ამა ივნისის 10-ს, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა **თავ. ივანე ბერის ძე ნიჟარაძე** და ძმა **ნიკოლოზ ყარამანის ძე** თავდგირიძე. განსვენებულის გვამს ქუთაისიდან წაასვენებენ სოფ. მაღლაკში სამშაბათს, 14 ივნისს, დილის 9 საათზე. (1—1)

მარიამ ჩარექოვისა, ნინო ჩხეიძისა, ვახტანგ მუსხელიშვილი, ანასტასია და სოფიო ჩარექოვისანი დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას პირველი—შვილისას, მეორე ძმისწულისას, მესამე—დისწულისას და უკანასკნელნი—საყვარელ ძმის 18 წლის
ლ ე ვ ა ნ ი ს ა ს.
დაკრძალვა 14 მაისს ქ. ქუთაისში. (1—უ.—1)

სეზონის უკანასკნელი ტანისამოსი
მ ო ს დ ი ს ყოველ-კვირა
ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის
შეკერილ ტანისამოსის პირველ კავკასიის ამხანაგობის საფაბრიკო დეპოს.
ნიკოლოზის ხიდი, №№ 25—30.
ვ უ რ ჩ ე ვ თ
ადგილობრივ და სხვა ქალაქიდან ჩამოსულ მყიდველებს ჩვენის და სხვის სახელოსნოებში ინგლისურ და ფრანგულ ჟურნალებზე დამზადებულ უკანასკნელ ფასონის ტანისამოსს, მანდილოსნის ზედა ტანისამოსს, კაცის და ბავშვის ტანისამოსს და ყოველგვარ პალტოს, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფაბრიკებში დამზადებულს ფასი ხელ-საყრელია.
შ ე უ ვ ა ძ რ ე ბ ლ ა დ. (0—40)

გამოვიდა და იყიდება კარლ კაუცკის
ისტორიულ-ეკონომიური ნარკვევი
(საფრანგეთის წარსულიდან)
ანუ კლასთა ინტერესების წინააღმდეგობა 1789 წელს. თარგმანილ. ელიავასი.
ფასი ერთი აბაზი. (5—6—2)

ახალ ბუფეტი
„არარატი“
(ავჭალის ქუჩის დასაწყისში, სადაც ავჭალის ვაგონების გზა უხვევს, კუთის სახლი, № 38, ს. არუთოვისა).

სუფთად და კოხტად მოწყობილ ბუფეტში მზადდება ევროპიული და აზიური საჭმელები. სანოვაგე ახალი და საუცხოვო. სადილ-ვახშამი ყველასთვის ხელ მისაწვდენი. საუკეთესო კახური ღვინოები, ცოცხალი და სხვა. სადილი ერის: ორი თავი საჭმელი, ერთი ჰიქა არაყი და ერთი ჰიქა ღვინო ან ლუდი—40 კ.; სამი თავი საჭმელი, 1/2 ბოთლი ღვინო ან ერთი ბოთლი ლუდი და ყავა —65 კ.
(თვ.—6.—24) ჰივის ცემით ვანო.

გაიღო რესტორანი ბაღით
„კავკაზი“
(მეორე სახლი ვნიკულერიდან)
მამა-დავითის გორაზე შვენიერად მოწყობილი კაბინეტებით.
მზადდება ევროპიული და აზიური სადილი:
ორი ბლუდი, 1 რუმკა არაყი ან ღვინო. . 50 კ.
სამი ბლუდი, არყით ან ღვინით . . . . 75 კ.
ოთხი ბლუდი 1/2 ბ. ღვინო ან რუმკა არყით 1 მ.
დრო სადილისა—12 საათიდან 5-მდე. მიიღება ყოველგვარი დაკაზი.
ყოველ დღე საღამოს 4 საათიდან 11 საათამდის დაუკრავს მუსიკა მეორე კავკ. მსროლელთა ბრიგადისა. ორკესტრის მასწავლი კარელ ლემი.
რესტორანის პატრონი ბ. ი. ფარჯანიძე. (15—244—8)

ე ქ ი მ ი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 14.

ე ქ ი მ ი
გ. ა. ბედლინი
მადათოვის ქუჩა, № 15, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (30—6.—27)

ე ქ ი მ ი
ნ. ტ. მ უ ს ი ნ ი
ყელის, ცხვირის და ყურის ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე, დღისით 12—2 საღამოს 6—8 საათამდე, სუდებნი ქ. № 26. (20—6.—13)

ე ქ ი მ ი
გ. ი. ტ ე რ - გ რ ი გ ო რ ი ა ნ ც ი
შინაგანთა, სპეციალისტი ქალთა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივ-კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მთის ქუჩ № 554 ტელეფონი № 825. (90—296—64).

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოზისა (№ 32) და ბ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, ნ. ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდე!.

კბილის ექიმი
ალ. ხ ო ლ ო დ ა ს ი ლ ი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 1-მდე და 5—7-მდე. კვირაობით მხოლოდ 12 საათ. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივანისა. (30—28)

რუსეთ-იაპონიის ომი

დ ე პ ე შ ე ბ ი

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

11 ივნისი

ტოკიო. გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ, რომ ინჩენას რაიონში იაპონელებმა უკან დაახევინეს რუსის ჯარს, რომელიც შესდგებოდა 3000 ქვეითა და ცხენოსან ჯარისკაცისაგან, სამის ზარბაზნით; იაპონელებმა დაიპყრეს მანსანჩენცზი ვანკსუცზის ჩრდილოეთით. იაპონელებს მოუკლეს 14 და დაუჭრეს 40 კაცი. მოკლულ რუსთა გვამები ბრძოლის ველზე დარჩა. სულ რუსების ზარალია ამ ბრძოლაში—300-ზე მეტი დაჭრილ-დახოცილი.

ლონდონი. ტოკიოდან ოფიციალურად იტყობინებიან, რომ კრეისერი „ბაიანი“ იაპონელებმა ამოიღეს ზღვიდან.

ნიუ-იორკი. იაპონიის ელჩი იტყობინება, რომ ზოგიერთ საკითხების გამორკვევამდე შეუძლებელია მორიგებაზე შეთანხმება.

ვაშინგტონი. რუზველტს იმედი დაეკარგა, რომ მოარიგებს რუსეთსა და იაპონიას; ახლა ძალიან ცდილობს ერთმანეთს შეახვედროს რწმუნებულნი და მშვიდობიანობაზე მოლაპარაკება გამართოს. იაპონიაში ფიქრობენ, რომ რუსეთი განზრახ აჭიანურებს მოლაპარაკებას, რათა ამ დროით ისარგებლოს და არმია გააძლიეროს.

12 ივნისი.

გუნჟულინი, 11 ივნისა. (საკუთ. კორ.). ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა. მთავარმა სარდალმა დაამტკიცა ახალი დროებითი შტატები თვისის შტაბისა. ხმებია, რომ ეს შტატები ძლიერ შეამოკლესო; ზოგი სამმართველოები სულ გააუქმეს.

პეტერბურგი. ლინევიჩის უქვეშევრდომილესი დეპეშა 10 ივნისის თარიღით: არმიაში ცვლილება არ მომხდარა. იაპონელებმა ჩვენის მარჯვენა ფრთის წინააღმდეგ გამოლაშქრების შემდეგ, რაც უკვე მოვახსენე თქვენს იმპერატორებითი უდიდებულესობას, გამოილაშქრეს ფრონტის წინააღმდეგაც რკინის გზის აღმოსავლეთით. 6 ივნისს დილით ჩვენმა ყაზახებმა აღმოაჩინეს მტრის დიდ-ძალის ჯარის გამოლაშქრება და უკან დაიხიეს მტრის წინაშე. ამის შემდეგ ჩვენს ცხენოსნებს მიემატნენ მაშველები, და ფიცხლავ გაილაშქრეს. იაპონელებმა სწრაფად დაიხიეს უკან ჩვენის ყაზახების წინაშე; მათ ცხენოსნები გამოუდგნენ. იაპონელები სამხრეთით წავიდნენ და 7 ივნისს დილით ჩვენმა წინა ცხენოსნებმა დაიჭირეს უწინდელი ადგილების ნაწილი მანდარინის გზის გასწვრივ. მტერს, ცხენოსნთა გარდა, ჰყავდა კიდევ რამდენიმე ბატალიონი ქვეითი ჯარი. დილის 6 საათზე იაპონელებმა გაილაშქრეს გუიუშისკენ, ცეცხლი მიუჩინეს ჩვენს მოდარაჯე პოსტებს, რომელნიც იძულებული გახდნენ გუიუშის ჩრდილოეთით წასულიყვნენ პოზიციებზე. დღის 12 საათზე ერთის რაზმის წინა ნაწილები უფრო ჩრდილოეთით წავიდნენ სოფ. შიხუზიდან, ისინი კი, ვინც უკან იხევდნენ მტრის ძალის წინაშე მანდარინის გზით, ჯერ სოფ. სიაგუშის ჩრდილოეთით დადგნენ, მერე კი, ასე სამს საათზე, სოფ. ლიალემიოსკენ მოიყარეს თავი, მტერი კი 5 ვერსტზე დადგა ლიალემის სამხრეთით. საღამოს ბრძოლა მიყუჩდა. შემდეგში გამოირკვა, რომ მანდარინის გზის გასწვრივ მოდიოდნენ ლაშქრად იაპონელების ქვეითებისა და კავალერისტების ორ-ორი პოლკი ტყვის მტყორცნელებით. სამთო და საველე არტილერიით, დასავლეთით-კი მოდიოდა სამი ბატალიონი, ორი ესკადრონი და სამი ზარბაზანი. მივიღე რა მხედველობაში, რომ იაპონელებმა ძლიერ წაიწიეს წინ მანდარინის გზით, გადავწყვიტეთ 7 ივნისს წინ გაგველაშქრნა და შეგვევიწროვებინა, სხვათა შორის, მტერი და საშუალება მიგვეცა ჩვენის წინა რაზმებისათვის წინანდელი ადგილები დაეჭირათ. ამ მიზნით, 7 ივნისს, ჯარების იმ ნაწილებმა, რომელთაც წინ უნდა გაელაშქრნათ, სოფ. ლიალემიაოსაკენ მიიწიეს, წინა რაზმები კი გაგზავნეს წინ. მტერმა, შეამჩნია რა ჩვენი წინ გალაშქრება, უკან დაიწყო ხევა ჩვენის რაზმების წინაშე და 7 ივნისს საღამოს ჩვენმა წინა რაზმებმა დაიჭირეს სოფ. მენხუაგაი და უღელ-ტეხილი ამ სოფლის დასავლეთით. მერმე 8 ივნისს დილიდანვე დაიწყო ჩვენი შემდეგი გალაშქრება და დევნილი მტერი თანდათან მიდიოდა სოფ. ცაოპინგარის ახლოს პოზიებისაკენ, საცა მან გაშალა რაზმები და პირის-პირი სროლა აგვიტეხა. მტერმა ერთი მეორის შემდეგ 4 ბატარეია წამოაყენა და, ეტყობოდა, მზად იყო თავგანწირულ ბრძოლისთვის. ხსენებულ რაიონში ჩვენის ჯარის გამოჩენამ ჩოჩქოლი გამოიწვია მტერში და ჯარები გააგზავნინა მას პოზიციებზე მყოფ ძალთა გასამაგრებლად; ვინაიდან ჩვენ მივაღწიეთ ჩვენს მიზანს, ამიტომ, დაბნელებისას, ჯარები უკან წამოვიყვანეთ, ამასთან ის ადგილები, რომელნიც ჩვენ გვეჭირა იაპონელების გამოლაშქრებამდე, ჩვენვე დაგვრჩა. კორეის ბრძოლის ასპარეზზე, 7 ივნისს, საღამოს, ჩვენის ჯარების წინააღმდეგ, ჩრდილოეთით შიუშენიდან, გაჩნდა იაპონიის ერთი ბატალიონი და ორასი მხედარი, რომელთაც კენგშენიდან გამოილაშქრეს.“

ლონდონი. აქ აღელვებულნი არიან იმ უთანხმოებით, რომელიც გერმანიასა და საფრანგეთს შორის ჩამოვარდა მაროკოს საქმის გამო. აღელვება გამოიხატა იმათ, რომ ბირჟაზე ყველა ქაღალდების ფასი დაეცა. აღელვება უფრო ფინანსიურ სფერებში ჰსუფევს, ვიდრე პოლიტიკურში.

ბერლინი. ბიულოვმა მიიღო გუშინ საფრანგეთის ელჩი ბიჰური და დიდხანს ესაუბრა რუვიეს საპასუხო ნოტის შესახებ.

ვენა. ფეიერვარიმ თხოვნა მიართვა გუშინ იმპერატორს და სამსახურიდან დათხოვნა მოითხოვა. იმპერატორმა უარი უთხრა.

ლოძი. დღეს გაზეთები არ გამოსულა.

მინსკი. რედაქცია გაზეთ „სევერო-ზაპადნი კრაი“-სა, რომელიც მაგრე მმართველების გამო შეჩერებულ იქმნა, აცხადებს, რომ მალე ისევ გამოვა, რადგან ახალი რედაქტორი დაუმტკიცეს.

ვარშავა. გამვლელ რაზმს ყუმბარა ესროლეს; 51 კაცი დასჭრეს და ერთი მოჰკლეს. ყველა ფაბრიკები და ქარხნები ქალაქსა და მიდამოებში დაიხურა. ტრამვაის მოძრაობაც შეჩერდა.

ლოძი. ფეხსადგების პროტესტი გუშინ არ მოუხდენიათ. ბანკები დაიხურა. ქუჩებში სროლაა. ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობა შესწყდა. ტრამვაის მოძრაობაც შეჩერდა. მოდარაჯე რაზმები ყველა ქუჩებზე დადიან. ხალხი დელავს. მოვიდა ერთი პოლკი ქვეითა ჯარისა და ერთიც ცხენოსანისა. ქალაქში საწუხარია.

კრემენჩუგი. გაფიცვის გამო დურუხნის ფაბრიკამ წარმოებას თავი დაანება.

12 ივნისი.

პეტერბურგი, 12 ივნისი. 10 ივნისს კურსკის თავად-აზნაურობამ ხელმწიფე-იმპერატორს შემდეგის შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: „დიდებულო ხელმწიფევ! შინ და გარედ ხმა გავრცელდა ზავის ჩამოგდების შესახებ. შენის თვითმპყრობელ ტახტის ერთგული კურსკის თავად-აზნაურობა გევედრება, მეფევ, განაგრძო ომი რუსეთის დაუშრეტელ ძალით ღირსეულ და პატივსადებ პირობების დადებამდი, რისთვისაც ჩვენ მზადა ვართ შევწიროთ მამა-პაპათა აღთქმისა და მაგალითის თანახმად ყოველივე მსხვერპლი“. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილინება და დეპეშაზე საკუთარის ხელით დააწერა: „გულწრფელად ვმადლობ კურსკის თავად-აზნაურობას პატრიოტულ გრძნობისათვის“.

ბერლინი, 12 ივნისი. ინგლისის გაზეთების ცნობა, ვითომც მაროკოს სულთანს გერმანიის ფირმისთვის ადჟირის საზღვართან პორტი დაეთმოს, ოფიციალურად ირღვევა.—9 ივნისს ელ-ზას-დოტარინგიაში წავიდა მთავარ შტაბის აფიცრების კორპუსი და იქ ვარჯიშობას გამართავს. რამდენადაც ვიცით, ადგილი, რომელშიაც უნდა გამოხატოს სამხედრო მოქმედებათა ასპარეზი, არჩეულია საარბრიუკენის სამხრეთით. ინგლისის პრესა შეეცადა ეს ამბავი მაროკოს საქმეებზე მოლაპარაკებას დაუკავშიროსო, ეს მოსაზრებანი მოკლებულია საფუძველს. მთავარ შტაბის აფიცრებს პრაქტიკულ ვარჯიშობისთვის ამ ჟამად ადრინდელზე უკვიანესი დრო აირჩიეს, რისთვისაც აფიცრები მხოლოდ სექტემბრის დასაწყისს გაემგზავრებიან აღმოსავლეთის საზღვრისკენ.

სტოკჰოლმი, 12 ივნისი. მთავრობისადმი წინააღმდეგობა თანდათან ძლიერდება. პრესსა სწუხს მთავრობის უიუმანსა და სისუსტეზე. კონსერვატორებს იმედი აქვთ, გადააყენონ კაბინეტი.

მოსკოვი. საფრანგეთის კონსულმა ხელწერილი ჩამოართვა ყველა მოსკოვში მცხოვრებ სათადარიგო ჯარის კაცებად ჩარიცხულ ფრანგებს, პირველ მოთხოვნისთანავე გაემგზავრონ საფრანგეთში, თუ იქ ჯარების მობილიზაცია მოხდა.

ვილნო. მაზრაში ციმბირის წყლი აღმოჩნდა.

პარიზი. რუვიეს საპასუხო ნოტაში, გერმანიის მთავრობა, როგორც ბერლინიდან იუწყებიან, მოსთხოვს საფრანგეთს, უფრო გარკვეულად აღნუსხოს მაროკოში შემოსაღები რეფორმები. იმავე დროს გერმანია წინადადებას მისცემს ორივე სახელმწიფოს გარჩიოს ცალკ-ცალკე თვითეული საკითხი, როგორც ეს წინასწარ მოფიქრებულია ხოლმე მადრიდის კონვენციით. თუ საფრანგეთი წინადადებას მიიღებს, მაშინ გერმანია მზადაა უარი განაცხადოს კონვენციაზე.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

10 ივნისი.

გონძიადანი. მარცხენა ფრთაზე ჩვენმა მოწინავე ჯარმა დაზვერა იაპონელთა პოზიციები. აღმოჩნდა, რომ იაპონელებს ძალიან გაუმაგრებიათ პოზიცია, სამ სართულიანის ბლინდაჟებით. დაზვერამ აღაშფოთა იაპონელები და აიძულა ისინი, კაიუანიდან მშველელი ჯარი მოეთხოვათ. დაღამებისას ჩვენი ცხენოსანი რაზმი უკან წამოვიდა.

ვაშინგტონი. ფილიპინის გენერალ-გუბერნატორის შუამდგომლობის თანახმად ადმ. ტაფტმა ნება დართო განთავისუფლებულ იქმნან ენკვისტი და ავადმყოფ-დაჭრილი რუსის აფიცრები, თუ პატიოსანის სიტყვით აღთქმას დასდებენ, რომ ამ ომში მონაწილეობას არ მიიღებენ.

11 ივნისი.

სახალინი. სანოვაგე ძალიან ცოტა-ღა რჩება კუნძულზე და დღითი-დღე ძვირდება. მცხოვრებნი სულ მცირე ფასებში ჰყიდიან თავის ქონებას და ციმბირში იხიზნებიან.

სიტიაზი, 10 ივნისი. უკანასკნელ დღეებში იაპონელებმა რამდენჯერმე სცადეს და სხვა და სხვა ადგილას იერიში მიიტანეს ჩვენს ფრონტზე; როგორც სჩანს, უნდოდათ გაეგოთ, სად უფრო სუსტად, ვართ. იერიშები უკუვაგდეთ. ჩინელების სიტყვით, იაპონელებს ბევრი მაშველი ჯარი მოსდით, ნამეტურ მარჯვენა ფრთაზე კავემურას არმიას. ლიაოხე, როგორც სჩანს, სამხედრო გზად გადაუქცევიათ იაპონელებს, რომლით განუწყვეტლივ მოსდით არტილერია და სურსათ-სანოვაგე; საწყობები ტელინს ახლო აქვთ გამართული. ხმა არის, რომ იაპონელები საერთო იერიშის მოტანას აპირებენ მოკლე ხანშიო. მცირე შეტაკება ყოველდღე ხდება. ჩინელებს სჯერათ, რომ მალე მშვიდობიანობა დამყარდება და ყანებში მუშაობა დაიწყეს.

12 ივნისი.

ჯიბუტი, 11 ივნისი. მოვიდა რუსეთის მაშველი კრეისერი, რომელმაც თან მოიყვანა ჩაძირულ გემის „კილდა“-ს კამანდა.

ბერლინი. „კელნ. ცაიტ.“-ი არღვევს ტოკიოდან მოსულ ცნობებს, თითქოს გერმანიას განზრახვა ჰქონდეს ჩინეთიდან გაიწვიოს ჯარები. ჯარებს მხოლოდ მაშინ გაიწვევს გერმანია, როცა ყველა დაინტერესებული სახელმწიფოები თანახმანი გახდებიან.

ვაშინგტონი. 11 ივნისი. გუშინ კასინი მოკლე ხანს ემუსაიფა პრეზიდენტს. უკანასკნელმა იმედი გამოსთქვა, რომ მოხერხდება ახალ გენერალურ ბრძოლის თავიდან აცილებაო. აქ კი გამორკვეულად სთვლიან, რომ რუსეთს არაფრად მოეწონა დროებითი ზავის შეთავაზება, იაპონიას კი, თავის მხრივ, არ მიაჩნია სასურველად დროებით ზავი ჩამოაგდოს მანამდე, სანამ რწმუნებულთა ფორმალური შეხვედრა არ მოხდება, რომელიც, ალბათ, ახალის სტილის შუა აგვისტომდე არ იქნება.

გონძიადანი, 11 ივნისი. მარცხენა ფრთამ 8 ივნისს მზვერავებს მტრის მდგომარეობა დააზვერინა ცინხეს ხეობაში. ჩვენმა რაზმმა, რომელიც ნანშანჩენცზისკენ მიდიოდა, სამხრეთით აყარა ამ სოფელს. იუფაილოუსკენ მიმავალი რაზმი, ამ სოფელსა და იულანცზის შორის შეხვდა მტრის დიდძალ ჯარს გამაგრებულს პოზიციაზე და შანხენგოუსკენ დაიხია. იაპონელებმა დაიჭირა იულანცზი. კორეაში შუშენი დაიჭირა ორმა ბატალიონმა და 200-მა კავალერისტმა.

ტოკიო, 11 ივნისი. ოფიციალური. ნანჩენცზიდან ჩრდილო-დასავლეთით დაბანაკებულ რუსებზე იაპონელებმა იერიში მიიტანეს და გააძევეს იქიდან 9 ივნისს დილით, მაგრამ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია რუსების იმ ნაწილმა, რომელსაც დასავლეთის გორაკები ეჭირათ. რუსები იძულებული გახდნენ უკან დახეულიყვნენ ჩრდილოეთისკენ გარს შემოვლისა და იმავე დროს იერიშის მიტანის გამო. რუსებმა 200 კაცამდე დაჰკარგეს. იაპონელებს ცოტა ზარალი მოუვიდათ.

10 ივნისი

ბელგრადი. საარჩევნო აგიტაცია გაძლიერდა. ხმა არის, რომ ზოგიერთ ადგილებში უწესოება მოხდა. არც ერთ პარტიას არ ეყოლება აბსოლუტური უმრავლესობა, რის გამოც მომავალ საერო კრებაში საქმე უფრო გამწვავდება.

პეკინი, („რეიტერი“). ტიბეტის საქმე მოეწყო. ჩინეთმა გადაუხადა ინგლისს 450 ათასი დოლარი.

11 ივნისი

სევასტოპოლი. სამხედრო საოლქო სასამართლოში გაირჩა საქმე მე-36 ეკიპაჟის ხაზინადრის ფედოროვისა, რომელსაც დაბრალდა 20 ათას მანათის გაფლანგვა. მოესაჯა უფლებათა ჩამორთმევა და პატიმართა როტაში ერთის წლით დამწყვდევა.

ბელოსტოკი. გუშინ საღამოს, კადეტსკის ქუჩაზე მომავალ პოლიციელს 4-ჯერ ესროლეს რევოლვერი. დაჭრილი პოლიციელი საავადმყოფოში წაიღეს, მაგრამ მალე გარდაიცვალა. ცოლი და ბევრი შვილი უსახსროდ დარჩა.

პარიზი. გაზეთების სიტყვით, რადგან სამხედრო შტაბიდან რამდენიმე საიდუმლოზაცით გეგმა დაიკარგა, ავინიონში სერჟანტი დაატუსაღეს. გამოძიების მოხდენა გენერალ საბატიეს მიენდო.

მინსკი, 11 ივნისი. მინსკისა და ნოვოგრუდის მაზრებში სოფლის მუშები გაიფიცნენ. გლეხნი მუშაობის ნებას არ აძლევენ მოსულ ხალხს. ბევრს მამულში რაზმებია ჩაყენებული. შიშობენ, აგრარული მოძრაობები არ მოხდეს.

ლიბავა, 11 ივნისი. საპყრობილეში პატიმრები აჯანყდნენ. დაანგრიეს 8 ყაზარმა. ხელიგანები ხელს უწყობდნენ. პოლიციამ და ჯარმა წესიერება აღადგინეს. დაიჭრა 12 კაცი; აიღეს 4 სახლი მეძავ ქალებისა.

ატკარსკი, 11 ივნისი. მაზრაში ბალახის მოუსავლობაა. შერემეტიევის გლეხებმა ძალით გათიბეს სათიბი. დანილოვის გლეხებმა გათიბეს ქალაქის იჯარადრის ადგილი.

ოდესსა, 11 ივნისი. ოდესსის მაზრის ბევრ ვოლოსტში სოფლის მუშების გაფიცვაა. ბევრმა მემამულეებმა თავი მიანება სოფელს. ზოგან გლეხებმა გათიბული თივა წაიღეს და წაიყვანეს საქონელი. დააბარეს ჯარი.

მოსკოვი, 11 ივნისი. დებედიანსკის მაზრაში არეულობები ძლიერდება. სუმის მაზრაში ჯარია.

11 ივნისი

ვარშავა, 11 ივნისი. სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასაჯა გადასწყვიტა სტანისლავ ოკრჟეიას პრაგის ხიდის შენობაში ყუმბარის გადაგდებისათვის. რადგან დამნაშავე მცირე წლოვანია და ამასთან ადვილად დანაშაული, განაჩენი უმაღლესად იქნება წარდგენილი.

დღეს ტრამვაისა და ქარხნების მოქმედება განაპირა ადგილებში შეჩერებულია. გაზეთები არ გამოვლენ.

ოხტოვი, 11 ივნისი. გლეხთა შორის ვრცელდება სარევოლუციო პარტიის პროკლამაციები.

სარატოვი, 11 ივნისი. პეტროვისა და ატკარსკის მაზრებში გლეხები ხშირად თავის ნებით აძოვებენ ცხვრებსა და სთიბავენ ბალახებს სხვის სათივესა და საბალახოებში მებატონეთა დაუკითხავად. უბალახობა და გვალვა ხელს უწყობს ასეთ მოქმედებას. უწესოებათა მოსასპობად ზომებია მიღებული.

თეირანი, 11 ივნისი. ქალია დიდ ზარალს აძლევს სპარსეთის მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. ნიშაპურსა, სებზავარსა და ტურბეტში განადგურებულია ნათესობის ორი მესა-

მედი. მოსალოდნელია შიმშილობა. თეირანში პურის ფასმა ძალიან აიწია.

პეტერბურგი, 11 ივნისი. ოფიციალური. 8 ივნისს უმაღლესად დამტკიცდა მინისტრთა კომიტეტის საგანგებო ჟურნალი იმის შესახებ, თუ რა გზით უნდა განხორციელდეს 1904 წ. 12 დეკემბრის ბრძანების მეშვიდე პუნქტი ებრაელების საკითხის შესახებ. კომიტეტის აზრით, თუ სახეში მივიღებთ მხოლოდ მარტო სახელმწიფოებრივ თვალთა ხედვის ისარს, ებრაელებას საკითხის წესიერად გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მათ ისეთივე უფლებები მიეცემათ, როგორც დანარჩენ მცხოვრებლებს იმპერიისას, მაგრამ საკითხის საზოგადოებრივი და რასსული მხარეები აიძულებენ სხვანაირად გადაწყდეს საქმე. ებრაელებს რომ ისეთივე უფლებები მიეცესთ, როგორც დანარჩენ მცხოვრებთ, მაშინ უკანასკნელების ინტერესები დაირღვევა; ებრაელები გავლენას იქონიებენ დანარჩენ მცხოვრებთა ეკონომიურ ცხოვრებაზე და ამით შეიძლება უკმაყოფილება გამოიწვიონ მათში, რასაც არა სასურველი და სამწუხარო შედეგი მოჰყვება. არ ვიცით აგრეთვე, შეუძლიან თუ არა ებრაელებს თავი დააღწიონ ახლანდელ პირობებში კარჩაკეტილ ცხოვრებას, რასაც, ჩვეულებრივ, უსაყვედურებენ ხოლმე მათ და რაც, როგორც ძლიერ ბევრნი ჰფიქრობენ ხოლმე, შეკრთებს მათ განცალკევებულ და გაერთიანებულ მასსათ, რომელიც სახელმწიფოში მეორე სახელმწიფოს ადგილს დაიჭერს.—ამისთვის მინისტრთა კომიტეტმა დაადგინა, ებრაელების შესახებ მთავრობის მომავალ ღონისძიებათა საძირკვლად დაიდვას სახელმწიფოში გამეფებული საზოგადოებრივი აზრი და წინადადება მისცეს მომავალ საკანონმდებლო დაწესებულებას, რომელშიაც იქნებიან ხალხის ნდობით აღჭურვილნი პირნი, გადასწყვიტოს ყოველივე ეჭვი ამ საქმის შესახებ. ამასთვის კომიტეტმა ერთხმად გადასწყვიტა, დააწესოს განსაკუთრებული, უწყებათა გარეშე მყოფი რჩევა, ხელმწიფის ნდობით არჩეულ პირის თავმჯდომარეობით, რომელშიაც წევრებათ შევლენ როგორც უმაღლესად დანიშნულნი, ისე უწყებათა წარმომადგენელნი და ნება მიეცეს თავმჯდომარეს მოიწვიოს ხოლმე რჩევის დროს სჯა-ბაასში მონაწილეობის მისაღებათ ისეთი პირნი, რომელნიც თავიანთი ცოდნით და გამოცდილებით ხელს შეუწყობენ საქმის წარმატებას; ამასთან ამ რჩევას მიენდოს: 1. გამოარკვიოს ებრაელების საკითხის უმთავრესი ნაწილები, რომელთა გადაწყვეტა გამოარკვევს უმთავრესს საფუძვლებს ებრაელების მთელის კანონმდებლობის განსახილველად; ამნაირად გამორკვეული საბუთები უნდა წარედგინოს 18 თებერვლის უმაღლესის ბრძანებისამებრ მოწვეულ ხალხის წარმომადგენლების კრებას და შემდეგ უნდა გადაეცეს სახელმწიფო საბჭოს თავის აზრის გამოსათქმელად და მოსაწონებლად; 2. დაწვრილებითა და ყოველ მხრივ იქნას დამუშავებული ებრაელების შესახები მასალები და ზემოხსენებულ პირველ პუნქტში ნაჩვენებ საფუძველთა დამტკიცების შემდეგ, თვისი საბოლოო მოსაზრებანი ებრაელების კანონმდებლობის განხილვის შესახებ რჩევამ წარუდგინოს, როგორც წესი მოითხოვს, ან ერთად ყველაფერი ან ნაწილ-ნაწილად საკანონმდებლო მთავრობას.

კრემენჩუგი, 11 ივნისი. რადგანაც მუშები ისევ განაგრძობენ გაფიცვას, ამიტომ დურუნჩმა დახურა თვისი სათუთუნე ფაბრიკა.

ნიჟნი-ნოვგოროდი, 11 ივნისი. გაიფიცნენ მეეტლეები. კრიტიკულ მდგომარეობაში გარდებიან რკინის გზითა და გემებით მოსული მგზავრები. ბარგის კადამზიდველები სარგებლობენ შემთხვევით და ფასს უმატებენ.

ვლადიმირი, 11 ივნისი. 3 ივნისს ივანოვო-ვოზნესენსკში ყაზახების მუშებთან შეტაკების საქმეს იკვლევს საგანგებო საქმეთა გამომძიებელი.

პარიზი, 12 ივნისი (ჰავასი). ყველა გაზეთები ამოწმებენ, საფრანგეთსა და გერმანიას შორის მოლაპარაკება ნორმალურად მიდის და, ალბათ, ისეთს შედეგს მოიტანს, რითაც ორი მხარე დაკმაყოფილდებაო.

ოდესა. ხმოსანთა კერძო რჩევაზე მოსკოვში ქალაქების წარმომადგენელთა სიეზდზე დასასწრებლათ აირჩიეს ქალაქის თავი კრიჟანოვსკი და ოთხი ხმოსანი.

კალუგა. ქალაქისა საბჭომ დაადგინა წარუდგინოს ხელმწიფეს მინისტრთა საბჭოს ხელით უქვეშევრდომილესი ადრესი ხალხის წარმომადგენელთა მოწვევის შესახებ. სიეზდზე მოსკოვში იგზავნება ნაფიცი ვექილი რაზუმოვსკი. ქალაქის თავი ბლისტანოვი პირდაპირ მიიწვიეს.

ვარშავა, 11 ივნისი. დღეს საღამოს 6 საათზე ვოლონიასა და გრიჟბოვსკის ქუჩების კუთხეში შეიკრიბნენ ქრისტიანის და ებრაელთ მუშები და აფრიალეს წითელი დროშა. მათ წინ გადაეღობა ცხენოსან ჟანდარმთა პატრული, რომელსაც ვიღაცამ მუშებიდან ბომბა ესროლა. მოკლულია ცხენი, დაიჭრა ორი ჟანდარმი. ამავე დროს ლევნაში გაიმართა მანიფესტაცია წითელის დროშით. ქალაქ გარეთ დასავლეთით იკრიბებიან ბრბოები. ძლიერ აღელვებულნი არიან, ადვილი მოსალოდნელია იფეთქონ კიდეც. ფაბრიკები გაფიცულნი იყვნენ მთელს დღეს. გაზეთები გამოვიდა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

დიდ ბრძოლის მოლოდინში. „რ. ვ.“-ის სამხედრო მიმომხილველი სწერს (8 ივნისის ნომერში): „...თუმცა ჯერ-ჯერობით ჩვენი (რუსების) ჯარი უკიდურესს მდგომარეობაში არ არის, როგორც ინგლისური „ტაიმს“-ი ფიქრობს, მაგრამ ჩვენი მდგომარეობა ბრძოლის ველზე მეტად სერიოზული შეიქმნა. ოიამას ჯარი ამოძრავდა და ეს მოძრაობა ორის მხრივ არის ჩვენის საშიში —მარჯვენა ფრთას ტაქტიური შემოვლა მოელის და მარცხენას—სტრატეგიული. ჩვენი მარჯვენა ფრთა მიბჯენილია მონგოლიის საზღვარზე, რომელიც ნაწილად მდ. ლიაოხეს მიდის, ნაწილად 15—20 ვერსტის მანძილზე ლიაოხეს დასავლეთით და სწორედ აქ, ლიაოიანჯუნპენთან, მოხდა 3 ივნისის ბრძოლა.

მაისის დასაწყისში გენ. მიშჩენკოს რაზმი ქ. ფაუმინს დაეცა, ლიაოხეს მარცხენა ნაპირზე დაიხია და დაიკავა პოზიციები ლიაოიანჯუნპენთან, 33 ვერსტის მანძილზე კაინპინსიანის ჩრდილოეთით და 8 ვერსტის მანძილზე მდ. დალიაოხეს დასავლეთით. იაპონიურ წყაროების მიხედვით, გენ. მიშჩენკოს რაზმი შესდგებოდა 5000 ცხენოსანისა და 20 ზარბაზნისაგან; არ ვიცით, ჰყავდა თუ არა მიშჩენკოს ქვეითი ჯარიც. ასე რომ რუსის რაზმი ამ ადგილას დაახლოვებით 6—8 ათასი უნდა ყოფილიყოს. ამ რაზმის წინააღმდეგ იაპონელებმა წამოიყენეს 17 ათას კაცამდე, მათ შორის 30 ესკადრონი ცხენოსნებისა. უნდა გვიკვირდეს, რომ იაპონელებმა მოახერხეს იმდენისავე ან მეტის კავალერიის მოყვანა ამ ადგილზე, ვიდრე მიშჩენკოს ჰყავდა. ამგვარად მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ საზოგადოდ გაცილებით მეტი ცხენოსანი ჯარი გვყავს, საჭირო ადგილას იაპონიას მეტი კავალერისტი ჰყავს ხოლმე. ეს გარემოება შეურყევლად ამტკიცებს ბევრ რუს-კორესპონდენტების ცნობას, რომ ჩვენი ცხენოსანი ჯარი, როგორც მებრძოლი ძალა, აღარ არის: კავალერისტებს სულ მხლებლებად დაიტაცეს ჩვენმა შტაბებმა (53 შტაბია) და ურიცხვმა სამმართველოებმა. მიშჩენკომ ვერ გაუწია წინააღმდეგობა უფრო ძლიერ იაპონელებს და ვერ შეუშალა ხელი, რომ ჩვენი მარჯვენა ფრთისათვის შემოევლოთ.

ჩვენი მარჯვენა ფრთის წინააღმდეგ, როგორც სჩანს, გენ. ნოგის ავანგარდი უნდა იყოს წამოსული. იაპონელების შუა რაზმი მოულოდნელად გაჩნდა 5 ვერსტის მანძილზე ჩვენის პოზიციებიდან და ყაზახები ჩრდილოეთისაკენ დასწია. რუსის არტილერია მხოლოდ სამის საათის შემდეგ მოვიდა, მაგრამ უკვე გვიან-ღა იყო: იაპონელებმა მოუარეს ჩვენ რაზმს ორივე მხრიდან და სროლა ასტეხეს. ამ სროლამ გამოიწვია, ალბად, ის არეულ-რევა, რომელზედაც იაპონიის წყაროები ლაპარაკობენ. გენერალი მიშჩენკო იძულებული იყო პოზიციისათვის თავი დაენებებია, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, გზას მოუჭრიდნენ, და მონგოლიის, ე. ი. ნეიტრალურ ტერიტორიაზე გადავიდა. იაპონელებმა ამ შეტაკებაში 215 კაცი დაჰკარგეს; რუსების ზარალი არ ვიცით, მაგრამ თუ ოიამას დავუჯერებთ, 400-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

3 ივნისის ბრძოლას (ლიაოიანჯუნპენის აღებას) დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ექნება: ნოგიმ მტკიცედ მოიმაგრა ფეხი ლიაოხეს ჩრდილოეთ ნაპირზე და შეიძინა ისეთი პოზიცია, საიდანაც ადვილად შეუძლია გაშალოს თავისი ძალები მონგოლიაზე ვალაშქრების წინ ჩვენი მარჯვენა ფრთის მოსავლელად. ლიაოიანჯუნპენის საქმემ გვიჩვენა, რომ ფაქტიურად უკვე დაარღვიეს მონგოლიის ნეიტრალიტეტი (მიშჩენკოს მარჯვენა ფრთა, რომელსაც იაპონელებმა მოუარეს, მონგოლიის ტერიტორიაზე იდგა) და ამიტომ მოსალოდნელია, რომ ნოგი დალიაოხეს მარჯვენა ნაპირით წავა ხუაიდსიანისაკენ (გუნჩულინის ჩრდილოეთით). ხუაიდსიანის დაჭერა კი იმის მომასწავებელი იქნება, რომ გუნჩულინის პოზიციების მარჯვენა ფლანგის ზურგით მტერი იქნება მოქცეული და ამ გვარად გზა ხარბინისაკენ საშიშ მდგომარეობაში ჩავარდება... მონგოლიაში არ იქნება რუსის ჯარის დიდი რაზმები, არც სიმაგრეები უნდა იყოს და ამიტომ ვერც შევაჩერებთ ნოგის წინსვლას. ნოგის შესაჩერებლად ლინევიჩმა კაულბარსის მთელი ჯარი უნდა გაგზავნოს; მაგრამ მაშინ მთავარ სარდალს სულ ორი არმია დარჩება ოთხის წინააღმდეგ (ოკუ, ნოძუ, კუროკი და კავამურა).

მონგოლიაზე გავლას ნახევარ თვის მეტს არ მოანდომებს იაპონელი გენერალი (ლიაოიანჯუნპენიდან ხუაიდიასიანამდე სულ 150 ვერსტია). თავისთავად ცხადია, რომ ნოგის ოპერაცია დაკავშირებული იქნება ოიამას სხვა ჯარების ოპერაციებთან და პირველად ყოვლისა მარშალ ოკუს ჯარის მოქმედებასთან (ოკუს ჯარს უკავია სივრცე დალიაოხედან რკინის გზამდე). 3 ივნისს ოკუს ჯარის პატარა ავანგარდმა უკან დაახევინა რუსის სადარაჯო რაზმებს. რკინის გზის აღმოსავლეთით ტუნხეს, კაოხეს და ცინხეს ქალებში იაპონელები წინ არ წამოსულან 29 მაისიდან, მაგრამ სამაგიეროდ გააძლიერეს თავიანთი რაზმები ნანჩენცში (ტუნხე უერთდება ქაოხეს) და ლიძიატაისთან (ცინხეს ქალა, საილუნჩენის გზაზე), რაც იმის მომასწავებელია, რომ წინ წამოვა კუროკიც, რომელიც, ალბად, აქვე დგას გირინის გზაზე. უკიდურეს მარჯვენა ფრთაზე, ხუნხეს სათავეში, გენერალ კავამურას ჯარის მოწინავე ნაწილები სანგრების დიდ კეთებაში არიან და იგერებენ გენ. კუროპატკინის ჯარის მოწინავე რაზმებს; ცხადია, ჯერ-ჯერობით კავამურას ჯარი მტრის მოგერებაზე დგას. ამ გვარად მარშალ ოიამას წინ-წამოსვლა მოხდება იაპონელების შვენიერ ტაქტიურ ხერხის მიხედვით: ჯერ დაიძვრის ადგილიდან უკიდურესი დასავლეთი ჯარი გენერალ ნოგისა, მას მიჰყვება ოკუსა და კუროკის ჯარები და ყველაზე ბოლოს აღმოსავლეთის ჯარი გენერალ კავამურასი. მარშალ ნოძუს ჯარი ჯერ რეზერვად დარჩება. მაგრამ ყველაზე საშიში გენერალ ლინევიჩისათვის არის გენერალ ხასეგავას ჯარის (მეექვსე არმია) ოპერაციები: ეს ჯარი კორეიდან მდ. ტუმენზე ამოვიდა და მიდის ომოსოსა და ნინგუტასაკენ —გენ. კუროპატკინის ჯარს უნდა უკან მოექცეს... ხასეგავას ჯარის დასავლეთ ნაწილის ავანგარდი უკვე მანჯურიაშია ნინგუტ-გირინის გზაზე, სადაც იაპონიის ცხენოსნებმა ჯარმა დროებით ხელში იგდო ქ. ომოსო და ჩვენი საწყობები დასწვა. ერთ თვეში ხასეგავას ასი ათასი ჯარის კაცი ომოსოში იქნება, 250 ვერსტის მანძილზე გენერალ ნოგიდან, და თუ ხასეგავამა და ნოგიმ ხელი ხელს მისცეს ლინევიჩის ზურგს უკან, საშინელი კატასტროფა დატრიალდება. ამიტომ არ შეგვიძლია არ ვისურვოთ, რომ, სანამ დაგვიანებული არ არის, დროებითმა ზავმა ბოლო მოუღოს გენ. ხასეგავას გაბედულ ლაშქრობას, რომლის ძალით გაჩერება მეტად ძნელი იქნება“.

პროფ. ოზეროვი და კავკასიის კოლონიზაცია

გაზეთ „სლოვო“-ს № 171-ში საგულისხმიერო წერილია დაბეჭდილი „კავკასიაში საგლეხო ნადელების გამოსყიდვის შესახებ“. წერილის ავტორი ცნობილი პროფესორია და მწერალიც—ბ-ნი ოზეროვი.

თვითონ წერილი ურიგო არ არის და ჩვენის ხალხის ინტერესებს არ ეწინააღმდეგება. პროფესორი საჭიროდ სთვლის, რომ „ნადელები“ უთუოდ სახელმწიფომ გამოასყიდოს მემამულეთაგან და გლეხებს გადასცეს. ამ ოპერაციასო,—ამტკიცებს ბ. ოზეროვი,—სახელმწიფო საგლეხო ბანკს ვერ დავაკისრებთ,—ეს განსაკუთრებული საქმეა და სახელმწიფომაც განსაკუთრებულ დაწესებულების მეოხებით უნდა აასრულოსო; ხოლო ბანკი, როგორც კომერციული დაწესებულება, ამ მძიმე საქმეს ვერ იტვირთავსო...

ამის წინააღმდეგ არაფერი არ გვეთქმის; მაგრამ ბ-ნ ოზეროვის წერილში სხვაც არის და ეს „სხვა“ საოცარი და სამწუხაროცაა. ბ-ნი ოზეროვი მოგვითხრობს, სახელმწიფო საგლეხო ბანკს კავკასიაში უნდათ გადასახლების საქმეც დააკისრონო. სახელდობრ, თავ. გოლიცინის პროექტით, სურთ, ამ ბანკმა ადგილობრივ მემამულეთაგან შეიძინოს მამულები, დაჰყოს ისინი ნაწილ-ნაწილ და შემდეგ, შეღავათიანის პირობებით, მხოლოდ შიდა რუსეთიდან გადმოსახლებულ გლეხთ გადასცესო.

რომ ასეთი პროექტი არსებობს, ჩვენ კარგა ხანია ვიცით, მაგრამ დარწმუნებულნი ვიყავით, რომ იმის განხორციელებას არ შეუდგებიან, რადგან ჩვენს ქვეყანაში გლეხობაც და აზნაურობაც შევიწროვებულია ადგილ-მამულის სიმცირით და ამიტომ სხვების გადმოსახლებაზე ლაპარაკი არ შეიძლება სერიოზულად.

მაგრამ დახედეთ: ცნობილი პროფესორი სულ სხვა აზრის ყოფილა ამის შესახებ. ეწინააღმდეგება ნეტარ ხსენებულის თავ. გოლიცინის პროექტს, მაგრამ იცით რა მოსაზრებით: საგლეხო ბანკი ვერ შეასრულებს ამ ძნელ საქმესაო. „კოლონიზაციის უკეთ მოსაწყობად საჭიროა ადგილ-მამულების შეძენა, მათი მოწყობა, მომზადება გადმოსახლებულთათვის, მრავალ სამეურნეო წვრიმალის გაკეთება და სხვა; ყველა ამას ბანკი, როგორც საკრედიტო დაწესებულება, ვერ შესრულებსო“. ამიტომ, პროფ. ოზეროვი მთავრობას პრუსსიის მაგალითზე უთითებს: კოლონიზაციის საქმის უკეთ მოსაწყობად საჭიროა პრუსსიის სისტემას მივბაძოთ, ესე იგი, „ეს საქმე სახელმწიფო საქმედ აღვიაროთ, ადგილობრივ (კავკასიაში) დავაარსოთ განსაკუთრებული კომიტეტები და მათ დავავალოთ მარტო კოლონიზაციის საქმის გაძღოლაო“.

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რას ნიშნავს და რას მოასწავებს ეს „პრუსსიის მაგალითი“. პრუსსიამ სასტიკი ომი გამოუცხადა პოლონელთ და მეფის დახმარებით აძლიერებს გერმანელთა კოლონიზაციას პოლონელთა ტერიტორიაზე. ეს სისტემა დაჰგმო ევროპის მთელმა დემოკრატიამ, მაგრამ რუსის ლიბერალ—პროფესორს ძლიერ მოსწონებია და თავის მთავრობას ურჩევს, ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ კავკასიაშიო!...

გასაკვირველი ის არის, რომ ამავე წერილში ბ-ნი პროფესორი იმავე მთავრობას ჰკიცხავს: რატომ დროზე ღონე არ იღონე და აგრარული საქმე არ მოაწესრიგე კავკასიაშიო; რატომ არ მიეშველე გაჭირვებულ გლეხთ და თავიდან არ აიცილე საშინელი კრიზისი, რომლის მიზეზი ადგილ-მამულის სიცოტავე არისო! მიუხედავად ამისა, მიუხედავად იმისა, რომ პროფესორმა იცის ჩვენი ამ მხრით შევიწროება, მაინც შესაძლოდ სთვლის „პრუსსიის კოლონიზაციურ პოლიტიკას“ ჩვენში!... გავიხსენოთ, რომ ამას წინად რადიკალური გაზეთი „სინ ოტეჩ.“ ამტკიცებდა, კავკასიაში დიდძალი მიწა გვაქვს და საჭიროა მხნე კოლონიზაციური პოლიტიკა ვაწარმოვოთო,—გავიხსენოთ ეს და მრავალი სხვა ამგვარი განცხადება რუს მწერლებისა და ჩვენთვის ცხადი შეიქნება, თუ რას უნდა მოველოდეთ რუსეთის ბურჟუაზიისაგან, როცა იგი ჩადგება სახელმწიფოს სათავეში და როგორი ბრძოლა არის ჩვენთვის საჭირო დღეს და როგორი იქნება საჭირო ხვალ, როცა ეს ბურჟუაზია გაიმარჯვებს. **გ.**

ტფ. საქალაქო საბჭოს

მკითხველებმა იციან, რომ მოკლე ხანში მოსკოვს დაიწყება რუსეთის იმპერიის საქალაქო თვითმმართველობის წარმომადგენელთა კრება. ინიციატორებმა ყველა ქალაქ

ფელეტონი

კახეთი 1812 წ.

ისტორიული ამბავი.

XI

ტფილისს დაბრუნებულმა გენერალ პორტნიაგინმა, როგორც უფროსმა ნაცით, ჩაიბარა საქართველოს გამგეობა მარკიზის მოსვლამდე. მეამბოხენი მოუახლოვდნენ ტფილისის გარშემო მდებარე სოფლებს. ს. აღჯალაში მეამბოხებმა დაიჭირეს ქართლიდან წამოსული ბეგრის ურმები, დატვირთული სასურსათო პურით. [illegible] ურემი წაართვეს და მეურმეები გარეკეს. [illegible] კარანტინს უბრძანა პორტნიაგინმა— [illegible] აღარავინ გამოუშვათ ქალაქში მტკვრის [illegible] ნაპირით, თორემ ვაითუ მეამბოხეებმა ხელთ იგდონო.

ბოჩბადო ზედ აკრავს საქართველოს დედაქალაქს. აქაურმა მოურავმა პოდპოლკოვნიკ თ. [illegible] შეატყობინა პორტნიაგინს, კახეთიდან ჩამოვიდნენ მეამბოხეთ გამოგზავნილი კაცები და თათრობას აქეზებენ რუსების წინააღმდეგაო. თავს ნუ [illegible]. სწერდა პორტნიაგინი ერისთავს, ან როგორმე დააჭირე მოსატყუებლები, ან სიცოცხლეს გამოასალმეო.

[illegible] მოელოდა ქართლს მარტყოფიდან. მდ. [illegible] მოულოდნელი მარტყოფამდე მეამბოხეებმა ყველაფერი ხელთ იგდეს და ქალაქს [illegible]ხებოდნენ. პორტნიაგინმა მარტყოფს გაგზავნა ხერსონის პოლკის ბატალიონი ოთხის ზარბაზნით პოლკოვნიკ ტიხანოვსკის უფროსობით, თვითონ-კი ტფილისის გამაგრებას შეუდგა. საიდუმლო ადგილებში ყარაულები ჩააყენა და ზარბაზნები ბატარეებზე დაალაგა.

მარტყოფელებმა მოჰკლეს სოფელში ჩაყენებული ურიადნიკი იარკინი და ორი ყაზახი. მარტყოფის პოსტის ხუთი ყაზახი შეიბრალეს და სიცოცხლე აჩუქეს, ესაა მხოლოდ, რომ რაც რამ ებადათ, წაართვეს და გაძარცულნი ტიხანოვსკის გაუგზავნეს. მათკენ მიმავალი პოლკოვნიკ ტიხანოვსკის ჯარი რომ დაინახეს, მეამბოხენი ხამშას გზას დაადგნენ და იორის ხეობისაკენ წავიდნენ. თვითონ მარტყოფელები, რაკი სიკეთეს არას მოელოდნენ თავზე ამხედრებულ ჯარისაგან, საჩქაროდ აიბარგნენ და დედა-ბუდიანად შეეხიზნენ მთიან და ბუჩქებით მაგარ ხეობას. შუა-გულ თებერვალში მთაში ასვლა დიდად სასიამოვნო არ იქნებოდა მარტყოფელ წვრილ-ფეხობისთვის, მაგრამ რა გაეწყობოდა, სადა არა სჯობს, გაცდა უმჯობესია.

პოლკოვნიკი ტიხანოვსკი გატრიალდა მარტყოფიდან და გამოეკიდა მეამბოხეებს ხამშის გზაზე. ს. ხამშთან შეიკრიფა თითქმის 4 ათასი მეამბოხე. აქ იყვნენ თუშნი, ფშავნი, ხევსურნი და თელავის მახლობელ სოფლელნი. მეთაურობდნენ [illegible] კახელი თავადიშვილები. ხამშს რომ მოუახლოვდა ტიხანოვსკი, მეამბოხეებმა თოფები დაახალეს, მაგრამ არ შეუშინდა მამაცი (ასე ეძახის მარკიზი ტიხანოვსკის) პოლკოვნიკი ტყვიის წვიმას და იერიში მიიტანა მეამბოხეთა ბანაკზე, რომელთაც ეჭირათ ვენახები და სოფლის გარეშე მდებარე სერები. ტიხანოვსკი პირდაპირ ვენახებსა და სერებზე წავიდა, უმთავრესი ძალა მხედრობისა-კი ჰკრა ბანაკის შუაგულში, ანუ ცენტრისაკენ. გაწვრთნილ ჯარის იერიშს ვერ გაუძლეს მეამბოხეებმა. დიდი ზარალი მოუვიდათ ხიშტებისაგან, თითქმის 200 კაცი დააკლდათ მოკლული. ორიოდ-სამიოდე ფშაველი და ხევსური ტყვედ ჩაუვარდათ რუსებს. იძლივნენ მეამბოხენი და მაგარ მთებს შეაფარეს თავი. რუსებს სულ მცირედი ზარალი მოუვიდათ, სათქმელადაც არა ღირს ამ ზარალის აღნიშვნა. ერთი გრენადერი მოუკლეს და 10 ჯარის კაცი დაუჭრეს. სწორედ დაუჯერებელია ეს ზარალი. ოთხი ათასმა კაცმა, თუნდ შორიდანაც თოფი რომ დაეხალოთ ბატალიონს, ნუ თუ მარტო ერთი გრენადერი უნდა წაექციოს და 10 დაეჭრას. მარკიზი პაულუჩჩი ასე მოახსენებს იმპერატორს და ჩვენც, გინდა თუ არა, უნდა ვირწმუნოთ.

ხამშელების უბედურება მოხდა 19 თებერვალს. პოლკოვნიკ ტიხანოვსკის სიტყვით, ხამშთან დამარცხებამ თავს ზარი დასცა მეამბოხეებსაო. მეორე დღეს ბოდიშის მოსახდელად მოსულან პოლკოვნიკთან ყარაბულახელნი, უჯარმელები, ხამშელები, სართიჭალელები და მუღანლოელები და უთხოვნიათ—ნება მოგვეცი ჩვენ ბინებზე დავბრუნდეთო. რაკი ნებართვა აუღიათ, მთებიდან ცოლ-შვილი ჩამოუყვანიათ და თავ-თავიანთ სახლებში დაბინავებულან.

ტიხანოვსკის თანა ჰყვნა რაზმში ერთგული ქართველი თავადიშვილები. ამ თავადიშვილების წყალობით და აგრეთვე დეკანოზ მარკოზოვისა პოლკოვნიკ ტიხანოვსკიმ მარტყოფელებს პირჯვარი დასწერა და ხელმწიფის მორჩილება-ერთგულობაზე დაითანხმა. მარტყოფელებმა შეისმინეს ჩაგონება დეკანოზისა და რუსეთის ერთგულ თავადიშვილებისა და მიიღეს ფიცი რუსეთის მთავრობის ერთგულობაზე.

რუსები რომ შემოვიდნენ ჩვენს ქვეყანას, დიდ ხანს ვერ დაამყარეს საქართველოში სიწყნარე, სიმშვიდე და მორჩილება. ჯერ კიდევ ქედ-მაღალი იყო მაშინდელი ქართველი, მონური მორჩილება ეხამუშებოდა და ხშირად „ბუნტობდა“, ანუ, ჩვენებურად რომ ვსთქვათ, ტლინკებს ისვროდა. სამხედრო კამანდები და ზოგჯერ დიდი ლაშქარი აყუჩებდა ზარბაზნის ყუმბარით, ან ხიშტით გაგზნებულ ქართველს და დაწყნარების შემდეგ ერთგულობის ფიცს მიაღებინებდა ხოლმე. ისე გახშირდა ერთგულობის ფიცის მიღება, რომ ბოლოს ყოველი ფასი დაეკარგა ფიცის მიღებას. ერთისა და იმავე კუთხის მკვიდრს მრავალჯერ მიუღია ფიცი ერთგულობისა და მაინც გაუტეხია იგი. ეს გარემოება უნდა იყვეს მიზეზი, რომ შემდეგ დროებში ჩვენში ხალხს ფასად გახდა ფიცი. ორიოდე გროში თუ დახარჯე, რამდენიც გნებავთ, იმდენს იშოვნით ტყუილ მოფიცარს. ყველაფერს საფუძველი ისტორიაში უნდა მოუძებნოს კაცმა. ორ-სამ დღეში არა ტყდება ხასიათი ერისა, ორ-სამ დღეში არ იხრწნება ზნე და რწმენა ერისა. დიდი შრომა და დაწყვა საჭიროა ერის გათახსირებისათვის და აკი არ იშურებდნენ არც ერთსა და არც მეორეს ერის კარგის თვისებათა მოსასპობლად.

დროა ახლა ქართლს შევხედოთ. მაშინდელმა საქართველომ არ იცოდა, რა ხილი იყო დღევანდელი სტრატეგია და ტაქტიკა. მართალია არ იცოდა სამხედრო მეცნიერების დედა-აზრი, მაგრამ ის-კი კარგად იცოდა, რომ რუსების ამოსაწყვეტად საჭიროა მასაზრდოებელი გზა მოეჭრას რუსის მხედრობას. ეს გზაა დღევანდელი საქართველოს სამხედრო გზა, ანუ დარიალის ვიწრო ხეობა. თუ დარიალის ხეობას შეჰკრავდნენ მეამბოხენი და შიდა რუსეთიდან მაშველ ჯარს აღარ შემოუშვებდნენ, თუ ამ ერთად-ერთი გზით რუსები სამხედრო მასალას ვეღარ მოზიდავდნენ, ცხადია, რომ რუსების ბატონობა ჩვენს ქვეყანაში საეჭვო შეიქმნებოდა. ამისათვის, კახელებმა გაშალეს თუ არა ამბოხების დროშა, ანანურის მაზრამ შიკრიკები აფრინეს, [illegible] და ჩვენთან ერთად იმოქმედეთ რუსთა მხედრობის წინააღმდეგათ. რადგან არაგველობა და მთა იმ ვე ტაფაში იწვოდა, როგორშიაც ქართლ-კახეთი იხრაკებოდა და უფრო მეტიც, ვინაიდან სამხედრო გზაზე მუშაობა და სამხედრო მასალის ზიდვა აუტანელ ტვირთად დააწვა ანანურის მაზრის მკვიდრსა, შიკრიკებს ბევრი ხვეწნა და მუდარა არ დასჭირდათ. არაგვლებმა, მთიულებმა, ხუდამაურელებმა და მთის დანარჩენ მკვიდრთ სიხარულით მოისმინეს შეთანაგალი და აცნობეს კახელთ: თქვენთან ერთად გავწყდებით და მტერს ბოლოს მოვუღებთო. სულ რაღაც ერთმა კვირამ გაიარა, რაც თიანეთსა და ახმეტას „ბუნტი“ დაიწყო და მთელი ანანურის მაზრა აჯანყების ბოლს და კვამლში გახვია. თებერვლის ათს 1812 წ. ფასანაურის პოსტზე მდგარი რუსები გაწყვიტეს, ანანურისა და დართის-კარის მეციხოვნეთ ალყა შემოარტყეს და სამხედრო გზაზე მისვლა-მოსვლა სრულიად მოსპეს. 99.)

დაწვრილებით ანანურის აჯანყების ამბავი ასეა. თებერვლის 9-ს „უსიამოვნო“ ამბავი მოუვიდა ბარონ კლოტს. სოფ. ბულაჩაურს 1000 მეამბოხე შეიკრიბა და მათი რაზმი ყოველ დღე მატულობსო. თითქმის სოფელი არ დარჩენილა ანანურის მაზრაში, რომ ამბოხებისთვის გზას არ დასდგომოდა. თვით ანანურს, საქართველოს „კარს“ (რუსულად: КЛЮЧЪ") ალყა შემოარტყეს და ციხეში აღარავის უშვებდნენ. ანანურის სათემო ისპრავნიკმა მოსწერა ბარონს თებერვლის ათსა: არ ვიცი როგორ ვუშველო ანანურსა. ყველა ამბოხებას მიეცა და მშველელი არავინაა. ანანურს 1000 კაცი ახვევია გარსა, ყოველ დღე მატულობს მათი რიცხვი და მე-კი ათიოდე კაცი-და შემრჩა ერთგულით. საგურამოს მინდვრებზე თავი მოიყარა 500 კაცამდე და აპირობენ დართისკარს დაეცნენ. რაკი ასეთ გაჭირვებაში ჩავცვივდით, ბძანება გაგზავნა კაპიტან საგინაშვილს, რომელიც ტფილისში მიდიოდა ქართლიდან საქართველოს გრენადერთა პოლკის ორი როტა სალდათით, მიეშველოს დართის-კარს, სადაც დაბანაკებული იყო

გაუგზავნეს მოწოდება და, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველა საქალაქო საბჭოებმა პასუხი მისცეს: აირჩიეს ორი, სამი, ოთხი, ზოგან ხუთი წარმომადგენელი და მოსკოვს გაგზავნეს. დღემდის რაც ცნობა დაიბეჭდა გაზეთებში, ყველა გვიჩვენებს, რომ თითოეულ ქალაქიდან არა ნაკლებ ორის წარმომადგენლისა ჰგზავნიან; ჩვენმა პატარა ქუთაისმაც-კი ორი კაცი გაგზავნა. ხოლო დიდი ქალაქები, როგორც, მაგალითად, ოდესაა, ოთხსა და ხუთს გზავნიან.

ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან, ერთის მხრით, ქალაქის წარმომადგენელთა კრებას მძიმე და ძნელი საქმეები აქვს გადასაწყვეტი და რაც მეტი თანამშრომელი იქნება, მით უკეთესია და რადგანაც, მეორეს მხრით, საჭირო ქალაქებმა უფრო იმპოზანტი წარმომადგენლობა იყოლიონ ისეთ მნიშვნელოვან მომენტში, როგორც ეხლაა.

მარტო ტფ. საქალაქო საბჭომ არ სცნო საჭიროდ ქალაქის მოურავის გარდა სხვა წარმომადგენლების გაგზავნა. „ბ-ნი ვერმიშევი იქ არის და სხვა რაღა საჭიროა“-ო, სთქვეს თურმე ხმოსნებმა.

ვიცით, რომ ბ-ნი ვერმიშევი დაუღალავი მუშაა, მაგრამ მაინც ვერ გაგვიგია, რატომ მოიკატუნა ასე თავი ტფ. საბჭომ და პატარა ქალაქებსაც კი ჩამორჩა. ერთმა ხმოსანმა გვითხრა, მეტის ხარჯის გაწევა არ გვინდოდაო. საოცარი არ არის ამისთანა შემთხვევაში ეკონომია?!

ქალაქის თვითმმართველობათა წარმომადგენელთა კრებამ, სხვათა შორის, უნდა თავისი აზრი შეიმუშაოს მომავალ წარმომადგენლობითი კრებისა და საარჩევნო წესრიგის შესახებ. ამ საკითხში მეტად დაინტერესებულია მთელი კავკასია და ჩვენის ქვეყნის ყველა ერები. მარტო ამ მიზეზით ტფ. საბჭოს მხოლოდ ერთის კაცის გაგზავნით არ უნდა გაეთავებინა საქმე.

მით უმეტეს უნდა მოქცეულიყო ასე ტფ. საბჭო, რომ წინანდელმა მაგალითმა გვასწავლა ჭკუა. როგორც მაშინ (ბულიგინთან დეპუტაციის გაგზავნის დროს) შეიქნა „ეროვნულ ნიადაგზე მითქმა-მოთქმა“, ისე ახლაც. მაგალითად, ჩვენ გვარწმუნებენ: ქალაქის მოურავი ქართველი რომ ყოფილიყო, საბჭოს უმეტესობა არ ენდობოდა მას და ორ-სა „თავისიანს“ მიუმატებდაო. ასეთ უადგილო მითქმა-მოთქმის თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო, საბჭოს კიდევ აერჩია ორი წარმომადგენელი მაინც. როგორი უნდა იყოს წარმომადგენლობითი მართვა-გამგეობა რუსეთსა და ჩვენში, როგორ უნდა მოეწყოს არჩევნები—ეს ისეთი ძნელი საკითხებია ყველასათვის, რომ, ჩვენის აზრით, ტფილისიდან ქართველი ხმოსანიც უნდა წასულიყო ბ. ვერმიშევთან ერთად.

მიაჩნია თუ არა ტფილისის საქალაქო საბჭოს საჭიროდ ამ შეცდომის გასწორება?

არა-ხმოსანი

ახალი ამბავი

◆ ტფილისის გუბერნიის **თავად-აზნაურთა კრება** დაიხურა 11 ივნისს. დასასრულ თავ. გრ. ნ. დიასამიძემ მოკლედ დაასურათა თანამედროვე ცხოვრების აუტანელი პირობები და წინადადება მისცა კრებას, გუბერნიის თავად-აზნაურობა შეუერთდეს რუსეთის ქალაქებისა და ერობის წარმომადგენელთა დადგენილებას, რომ სახელმწიფოს კეთილ დღეობისთვის საჭიროა დაუყოვნებლივ მოწვეულ იქმნან თავისუფლად არჩეული ხალხის წარმომადგენელნი. ეს დადგენილება დეპეშით ვაცნობოთ პროფესორს თავ. ს. ნ. ტრუბეცკოის და მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლსაო. კრებამ ერთხმად მიიღო თავ. გ. დიასამიძის წინადადება.

◆ ამას წინად ქალაქის გამგეობამ აცნობა ბ-ნთ ზუბალაშვილების რწმუნებულს საბჭოს დადგენილება **სახალხო სახლის** დათმობის პირობების შესახებ. რწმუნებულმა აცნობა, რომ სახლის ამშენებელნი გადაჭრით უარს ამბობენ ქალაქის მიერ შემუშავებულ პირობებით დაუთმონ ქალაქს სახლიო.

◆ ტფილისის **ქალაქის მოურავი პეტერბურგიდან** დეპეშით სთხოვს თავის მოადგილეს, გაუგზავნოს მასალა იმ შუამდგომლობათა შესახებ, რომელიც სხვა და სხვა დროს უმაღლეს მთავრობას გადაეცა.

◆ სტავროპოლის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ აცნობა კავკასიისას, რომ 3 სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე სტავროპოლში გაიმართება **სამეურნეო სამრეწველო გამოფენაო.**

◆ **ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორის,** არქიმანდრიტის ნიკანდრის, ეპისკოპოსად კურთხევა უნდა მომხდარიყო კვირას, 12 ივნისს, მაგრამ სხვა დროისათვის გადაიდო.

◆ **იმერეთის ეპისკოპოსი** ლეონიდი ტფილისიდან უკვე დაბრუნდა ქუთაისს.

◆ ავლაბრელებს გადაუწყვეტიათ, მოახდინონ **ავლაბრის მცხოვრებთა აღწერა.**

◆ ტფილისიდან სპარსეთში გაემგზავრა **დანიელი მეცნიერი და მოგზაური ოგე ბენედიქტსენი,** რომელმაც ტფილისში დაათვალიერა „წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ მუზეუმი და შეჰკრიბა ცნობები ეხლანდელ მოძრაობის შესახებ.

◆ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ 5 ივნისს **საშინელმა წვიმამ** მთლად წაახდინა რკინის გზის ხიდი მე-395 ვერსზე მდ. ლიჩაჩიაზე. ეს ორი დღეა წყალმა ცოტა იკლო. ამ ხიდს თითქმის ახლად აშენება მოუნდა. ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას ეგონა, ერთს კვირაზე შეაკეთებდნენ, მაგრამ, როგორც ეხლა გამოირკვა, მატარებლების წესიერი მიმოსვლა მხოლოდ 20 ივნისისთვის მოეწყობა. სახალხო მატარებლები ტფილისსა და ბაქოდან ერთსა და იმავე დროს ადგებიან ხიდს და ისე გადაჰყავთ მგზავრები. გუშინ ამ ხიდის დასათვალიერებლად წავიდა რკინის გზის უფროსი.

◆ როგორც გავიგეთ, **ტფილისის მაზრის უფროსად,** ნაცვლად თ-დ ლ. გ. ჯანდიერისა, რომელსაც ერევნის ვიცე-გუბერნატორად ჰნიშნავენ, განზრახვა აქვთ ბორჩალოს მაზრის უფროსი კ. ზ. შანშიევი გადმოიყვანონ.

◆ როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, 11 ივნისს ტფ. სამისიონერო ეკლესიის სამკითხველოში ეგზარხოსის თავმჯდომარეობით მოხდა კრება რუსის სამღვდელოებისა **31 მაისის ინციდენტის შესახებ მოსალაპარაკებლად.**

◆ ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანმა ა. ს. ბაიოვმა ქალაქის გამგეობას გადასცა საბჭოში წარსადგენად განცხადება **ქალაქის მილიციის დაარსების შესახებ.** ხმოსნის აზრით, მილიცია უნდა შესდგებოდეს 330 კაცისაგან, მათგან 30 ცხენოსანი იქნება და 300 ქვეითი. მილიციის ყოველ წევრს ქალაქი იარაღს მისცემს. ცხენოსნებს თვეში მიეცემათ 35 მ ჯამაგირი, მიეცემათ აგრეთვე სადგომი და თივა ცხენებისათვის. ცხენოსნებს დააბინავებენ ქალაქში ორ ადგილას.

◆ ტფილისში პეტერბურგიდან ჩამოვიდა ნამესტნიკის კანცელარიის **დირექტორი ს. ს. პეტერსონი.**

◆ **გაზ. „ბაკუ“-ში დაბეჭდილია** სემინის შემდეგი დეპეშა ტფილისიდან: „ტფილისზე გავლის დროს წარვუდექი ნამესტნიკის მოადგილეს. იმას წინადადების თანახმად, მოხსენება ჩემის მოგზაურობისა წარვუდგინე იმის თანაშემწეს სულთან-კრიმგირეის. ამ მოხსენებაში აღვნიშნე, რომ ერევნის გუბერნიაში მოძრაობა თუ წინად სომხების წინააღმდეგ იყო მიმართული, ეხლა საზოგადოდ ქრისტიანთა და მთავრობის წინააღმდეგია, რაიც აიხსნება საზღვარ-გარეთელ ემისარების ზედგავლენით. მოხდა, მაგალითად, ასეთი ამბები: ეკკლესიების წაბილწვა, ქრისტიანთა გამაჰმადიანება, რუსმოხელეებსა და ჯარზე თავდასხმა ქურთთა დახმარებით. სულთან-კრიმ გირეიმ მითხრა, რომ გენერალი ალიხანოვი გამოწვეული იქნება, ხოლო ვიცე-გუბერნატორი ტარანოვსკი დათხოვნილიო“.

◆ ტფილისის სათავად-აზნაურო სააღგილ მამულო **ბანკის მსახურთ** მაისში რამდენიმე კრება ჰქონდათ თავიანთ საჭიროებებზე მოსალაპარაკებლად. მსახურთ შეიმუშავეს და წარუდგინეს ბანკის გამგეობას თავიანთი მოთხოვნილებანი:

1. დაარსდეს ბანკის მსახურთათვის ბიურო. ბიურომ უნდა გაარჩიოს მსახურთა შორის ატეხილი სადაო საქმეები. ბიურომ უნდა დაიცვას აგრეთვე ინტერესები მოსამსახურეთა; 2. ის წესები, რომელიც დამტკიცებულ იქნა 1898 წელს და რომელიც შეეხება არჩეულ პირთა ავადმყოფობისა და გადაცვალების დროს შემწეობის აღმოჩენას, უნდა გავრცელდეს ბანკის ყველა მსახურზედ; 3. შეამდგომლობა იქნას აღძრული ბანკის რწმუნებულთა კრების წინაშე, რომ მსახურთ ჯამაგირს გარდა ავადმყოფობის დროს შემწეობა აღმოუჩინოთ; 4. მიეცეს უფლება თითეულს მსახურს წელიწადში ორის კვირით დასვენებისა, ყოველ ორი წლის შემდეგ ერთის თვით და ყოველ ხუთის წლის შემდეგ ორთის თვით; 5, დაწესდეს დრო გამოშვებით ჯამაგირების მიმატება, ისე რომ ყოველ 5 წლის შემდეგ ემატებოდეთ 10%; 6. დაწესდეს განსაზღვრული სისტემა სადივიდენდო საჩუქრების განაწილებისა.

◆ როგორც გწერდით, თვითმართველობის ერთი მოხელე ხიტამვილი აგენტის დადიანცის წყალობით ეს 9 თვეა უადგილოდ დაიარება. საბჭომაც არ მიეწყნარა ხიტამვილის თხოვნა და ამის გამო მან გუბერნატორს სთხოვა წინადადება მისცეს ქალაქის საბჭოს ხელ-მეორედ განიხილოს ხიტამვილის თხოვნა და დააკმაყოფილოს მისი კანონიერი მოთხოვნილება.

◆ ქალაქის თვითმართველობამ 500 მან. მისცა უმაღლეს კურსებზე მოსწავლე ქალთა დამხმარებელ საზოგადოებას.

◆ ქალაქის დუქნების კომისიას დუქნების უფროსმა ბუხჰოლტერმა აცნობა, დუქნების ანგარიშების შემოწმების დროს აღმოაჩინე რომ ერთს მსახურს ვართანოვს, 1200 მან. გაუფლანგავსო. კომისიამ დაადგინა, შეამოწმოს 1904 წლის ანგარიშები და ვართანოვი პასუხის გებაში მისცეს.

◆ გუშინ წინ ტფილისში ჩამოვიდნენ იმიერ-კავკასიის სახალხო სკოლების მასწავლებელნი, 12-მდე ქალი და კაცი. ექსკურსანტები ორს-სამს დღეს დარჩებიან ტფილისში.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობას სხვა და სხვა უბნის მცხოვრებნი ატყობინებენ, რომ ქალაქის მიზეზით 5—6 ივნისის ნიაღვრებისაგან დიდი ზარალი მოგვივიდა და გთხოვთ აგვიზღოთო.

◆ 12 ივნისს შუაბაზრი, ღამის 12 საათზედ, პოლიციელებს დაუჭერიათ ქალაქის გამგეობის მსახურნი ოტიანცი, დოლმაზოვი და ერთი კარუშეც და გაუჩხრეკიათ. ქალაქის მსახურთათვის პოლიციელებს ჩამოურთმევიათ რევოლვერი. მოსამსახურეებმა აცნობეს გამგეობას, სამსახურის საქმეებისა გამო ღამე სიარული გვიხდება და დაგვიფარეთ პოლიციელების ჩხრეკისაგანაო.

◆ 12 ივნისს ღამე პოლიციის მე-7 ნაწილში ჩხუბი მოუვიდათ ტფილისის მოქალაქე გალუსტ ანრესოვსა და პატარძეულის მცხოვრებს ივანე გიუნაშვილს. ანრესოვმა რევოლვერი ესროლა გიუნაშვილს და თავში დასჭრა. ანრესოვი დააპატიმრეს.

◆ პოლიციელის გლავაცკის მოკვლაში ეჭვი მიიტანეს და დააპატიმრეს ტფილისში მცხოვრები ბერუკაშვილი, რომელმაც განაცხადა, მე ამ საქმეში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღიაო.

◆ 13 ივნისს, ღამე, მიხეილის ქუჩაზედ ვილაცას გაუტეხია აიზენბერგის სახელოსნოს კარები. ქურდი დაუჭირეს, იგი აღმოჩნდა გორის მცხოვრები სერგო კურტაშვილი.

◆ კვირას, 12 ივნისს, ტფ. საბჭოს დარბაზში მოხდა კრება ტფ. ქალაქის სასწავლებელთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებისა. კრებამ დაამტკიცა ანგარიში და ხარჯთ-აღრიცხვა. წელს ხარჯებისათვის გადადებულია 3450 მან. დასასრულ კრებამ აირჩია ვიცე კომიტეტის თავმჯდომარედ ე. ა. ადელხანოვისა, წევრებად ი. ს. წურინოვისა, ი. მ. დოლუხანოვი, ა. სულხანოვი, ა. ი. მილოვი და გ. ვ. თამამშევი.

◆ ს ა დ. ბ ა ქ ო. 11 ივნისს, ღამის 1½ ს., სამი შეიარაღებული კაცი დაეცა სადგურის ღამის დარაჯს მერკულა ალისტრახს. მძიმეთ დასჭრეს და წაართვეს რევოლვერი.

◆ ს ა დ. ქ ა რ ე ლ ი. 11 ივნისს, როდესაც სახალხო მატარებელი მე-231 ვერსზე მიდიოდა, ლიანდაგს გადადიოდა გიორგი ბეჟანაშვილი და მატარებელმა გასრისა.

◆ ს ა დ. ს ა ნ ა ი ნ ი. 12 ივნისს. საღამოს ექვს საათზედ მიმავალ მატარებელზე უნდოდა შემდგარიყო რკინის გზის ზეინკალი ნიკოლოზ დანდუროვი, მაგრამ ფეხი აუცდა; ვაგონის თვლებში ჩავარდა, მატარებელმა მარჯვენა ფეხი მოჰგლიჯა. დაშავებული რკინის გზის საავადმყოფოში გავზავნეს.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 12 ივნისი. დღეს გაასვენეს ახლად გარდაცვალებული ალექსანდრე წულუკიძე. დიდ-ძალმა ხალხმა მოიყარა თავი ეზოსა და ქუჩებში. წაიკითხეს დეპეშები და წარმოსთქვეს სიტყვები ქართულს, რუსულს და სომხურს ენებზე, კუბო შეამკეს წითელ ლენტიან გვირგვინებით. სულ სამოცი გვირგვინი იყო. წვიმის მიუხედავად, დიდძალი ხალხი მისდევდა ცხედარს. პოლიცია არ ჩარეულა. წეს-რიგი საუცხოვო იყო.

ტფილისის სათავად-აზნაურო სააღგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრება

12 ივნისს.

როგორც ვწერდით, რწმუნებულთა კრებამ 31 მაისს და 1 ივნისს ერთი-ორი საქმე განიხილა, ხოლო დანარჩენ საქმეთა განხილვა და აგრეთვე არჩევნები 12 ივნისისათვის გადასდო. ამ დღეს პირველად კრებამ განიხილა განცხადება დამფასებელ კომისიის საქმეების მწარმოებლად ნამყოფის თავ. დ. ამირეჯიბი. ამირეჯიბი თხოვნაში სწერს, 9 წელიწადია სინიდისიერად ვემსახურე ბანკს და ამის ჯილდოდ სამი წლის წინად გამგეობამ უმიზეზოდ სამსახურიდან დამითხოვაო. ამირეჯიბი სთხოვდა კრებას, მიეცა მისთვის 1,800 მან. რაიცა ჯამაგირად მერგება დღევანდლამდეო. მცირე კამათის შემდეგ, კრებამ უყურადღებოდ დასტოვა თავ. ამირეჯიბის თხოვნა.

შემდეგ კრებამ მოისმინა მოხსენება გამგეობისა იმ მამულების შესახებ, რომელთა [illegible] საჩივრებია სასამართლოებში. საანგარიშო [illegible] სასამართლოში ბანკს საწარმოებლად ჰქონია 21 საქმე. საჩივრების ფასი საანგარიშო წელს უდრის 109,249 მან. ამ საჩივრებში ერთი საინტერესო საქმეც ურევია. 1878 წელს საჯარო ვაჭრობის დროს თავ. ი. ავალიშვილის მამული შეუძენიათ გიორგი და მარიამ ქანანოვებს. ქანანოვებს გადასახადი არ შეუტანიათ, და რადგან არც გაყიდულა, ბანკს დარჩენია. შემდეგ გამორკვეულა, რომ გიორგი ქანანოვს, ტფ. ქალაქის თვითმმართველობის იურისკონსულტს, სამიჯნო გეგმა გამოუყენებია და მამული ცოლზე გადაუცია; ამასთან გაყიდვის დროს დაუმალავს, რომ მამული ბანკს დარჩა. 1903 წელს ბანკმა სასამართლოში საქმე მოიგო და ქანანოვებს ზარალიც გადაახდევინა. თუმცა მამული ბანკს დარჩა, მაგრამ ქანანოვებს სახლი მაინც არ დაუცლიათ და ბანკს ხელმეორედ დაუწყია საჩივარი.

კრებამ შემდეგ მოისმინა პროექტი ბანკის მოსამსახურეთა დამხმარებელ კასის წესდებისა. ბანკმა ყოველ წლობით სარგებლიდან კასას უნდა მისცეს არა ნაკლებ 10,000 მან. კასამ დახმარება უნდა გაუწიოს როგორც მოხელეთ, ისე მათ სახლეულობას, რაიმე შემთხვევის დროს, მაგალითად, გარდაცვალებისა, ან სამსახურის თავის დანებების დროს და სხვა. პროექტის განხილვამდე რწმუნებულმა კობიაშვილმა წინადადება შეიტანა დამხმარებელ კასის ნაცვლად დაარსდეს საპენსიო კასსა. მცირე კამათის შემდეგ კრებამ ხმის უმეტესობით დაადგინა, ამ ხანად დააარსოს შემნახველ-დამხმარებელი კასა, ხოლო შემდეგში გადააკეთოს საპენსიო კასად. კასსის საქმეები უნდა განაგონ მოსამსახურეებმა.

კრება 13 ივნისსათვის გადაიდო.

ქართველებისა და მაჰმადიანების რეზოლიუცია

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ტფილისში ამიერ-კავკასიის მაჰმადიანთა წარმომადგენელნი ჩამოვიდნენ თავიანთ საჭიროებათა შესახებ მოსალაპარაკებლად და ნამესტნიკისთვის პეტიციის წარსადგენად. პეტიცია უკვე წარადგინეს. სხვათა შორის, 10 ივნისს მოხდა კრება ამ მაჰმადიანებისა და ქართველებისა. თითქმის ორასამდე კაცი დაესწრო. წარმოითქვა მრავალი სიტყვა. ილაპარაკეს როგორც თათრებმა, ისე ქართველებმა და ქართველმა მაჰმადიანებმა. ბოლოს კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„ამიერ-კავკასიის ქართველები და მაჰმადიანების წარმომადგენელნი შეიკრიბნენ ტფილისში თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრების-მიერ წამოყენებულ საკითხების გამოსარკვევად და იმ გადაწყვეტილებას დაადგნენ, რომ კავკასიის კულტურული წინსვლა და საზოგადოებრივ წესწყობილების შეცვლა, განახლებულ ცხოვრების მოთხოვნილებათა თანახმად, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა ერთვნების შორის სრული სოლიდარობა იქნება დამყარებული. ამიტომ, კულტურულ შემოქმედებითის მუშაობისათვის ჩვენის საერთო სამშობლოს ყველა ნაწილების მჭიდრო შეკავშირება აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. პირველ ნაბიჯად, ორსავე ეროვნების—მაჰმადიანებისა და ქართველების დასაახლოვებლად, კრების აზრით, შეიძლება ჩაითვალოს განსაკუთრებულ წარმომადგენლობისაგან შემდგარი ორგანო, რომელიც უნდა დაარსდეს ტფილისში. ამ ორგანომ ხელი უნდა შეუწყოს ორსავე ერს შორის კარგ დამოკიდებულების განვითარებას და გაუზიაროს მაჰმადიანებსა და ქართველებს თავისი აზრი მიმდინარე საქმეების შესახებ. რაც შეეხება ერევანში მომხდარ მეტად სამწუხარო ამბავს, რომელიც შეუძლებლად ჰხდის ნაყოფიერს მუშაობას და რომელიც დიდად აფერხებს ჩვენის მატერიალურ და სულიერ ძალთა განვითარებას, ჩვენ ძალიან გვწყინს ამ ამბის გამო და ვიწვევთ

ორი როტა ჯარი, შირთის ჯარები და იმოქმედოს არაგველ მეამბოხეთა წინააღმდეგ. ამას თანავე კაპიტან საგინაშვილს დაევალა გაგზავნოს პატარა რაზმი მუხრანს სახელმწიფო სასურსათო მაღაზიის დასაცველად და გაგზავნოს ორმოცდაათი ჯარის კაცი მცხეთის ხიდის შესანახად. მცხეთის ხიდს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ეს ხიდ რომ გაეფუჭებინათ, ტფილისი სავსებით მოსწყდებოდა ანანურის მაზრას და საქართველოს სამხედრო გზასა.

ანანურის სათემო ისპრავნიკის ფართო-ფურთობიდან არაფერი გამოვიდა. შეკრიფა რაღაც 200 სოფლელი და [illegible] ანანურის გზის გარღვევა და შიგ ციხეში შესვლა. ისპრავნიკს და მის მხლებლებს მეამბოხეებმა თოფები დაუშინეს, მიუხლოვდა თურა ცხენს, და ორის ტყვიით ფეხში მძიმედ დასჭრეს. მხლებლები შემოეფანტნენ და აჯანყებულთ შეუერთდნენ. ფეხში დაჭრილმა ისპრავნიკმა მოჰკურცხლა და გორში ბრეგვა გაადინა. 100)

სასიამოვნო ამბავს ანანურიდან არც მუხრან-ბატონი, გენერალ-მაიორ თ. კონსტანტინე ივანეს ძე ატყობინებდა მთავრობას. მუხრან-ბატონი დიდი და გავლენიან მემამულე გახლდა, მთავრობა ენდობოდა და ამისთვის სწორედ ეს ქართველი ფეოდალი გაგზავნეს ხალხის დასაწყნარებლად. თავადმა კონსტანტინემ შეჰკრიფა ორასიოდე წვრილ-ფეხა აზნაური და გლეხობა, თან წაიყვანა მაიორი თინიკე ერისთავი და ანანურის ციხისაკენ გაემართა, მაგრამ შეშინდა რუსის ერთგული გენერალი შეშინდა აგრეთვე რუსების ერთგული თავადი ერისთავი 101) და იერიში ვერ მიიტანეს ანანურზე. ისე შიში არაა აქ მოსატანი, როგორც ესა, რომ მუხრან-ბატონი ვერ ენდობოდა რაზმსა, გაჭირვების დროს უღალატებდა რაზმი, როგორც უღალატა ანანურის სათემო ისპრავნიკს. ამისათვის ბარონ კლოტს მისწერა—რუსის მხედრობა მომაშველე, თორემ ჩემის ჯარით ვერას გავაწყობო.

გენერალ ბარონ კლოტმა საჩქაროდ ქაღალდი გაუგზავნა ქართლიდან წამოსულ საქართველოს გრენადერთა ბატალიონის კამანდირს პოდპოლკოვნიკ უმაკოვს—ტფილისში ნუღარ ჩამოხვალ, შემოიკრიფე დართისკარისა და მუხრანის მეციხოვნენი და პირდაპირ ანანურს გასწიე ციხის საშველადაო. ჯაშუშების ხელით ბარონმა გაუგზავნა ბრძანება გლადიკავკავის ციხის უფროსს გენერალ-მაიორ დელპოცცოს—რამე იღონე და საქართველოს სამხედრო გზა გახსენით. ამასვე სთხოვდა ბარონი გაბრიელ უაზბეკს.

თებერვლის თერთმეტს ტფილისში ჩამოიჭრა თვით თ. კონსტანტინე მუხრან-ბატონი. მღელვარება ძლიერდება, ხალხის დასაწყნარებლად დიდი ჯარია საჭიროვო. მუხრან-ბატონი უკანვე გააბრუნეს და დაავალეს, პოდპოლკოვნიკ უმაკოვს შეუერთდი შენის კაცებით და ეცადე—როგორმე წააქრთო ამბოხებაო. უმთავრესი დავალება-კი ის იყო, რომ როგორმე გაენთავისუფლებინათ ანანური.

მუხრან-ბატონს თან გაატანა ბარონ-კლოტმა განცხადება, ანუ უბად ადებული „ობვეშჩენიე“. განცხადებაში ბარონი სწერდა არაგველებს: თუ ერთგულობის ფიცს არ გასტეხავთ, წყნარად იქნებით და მეამბოხეებს არ შეუერთდებით, იცოდეთ, რომ პატრონობა-მფარველობას არ მოგაკლებთ და ეს მფარველობა-პატრონობა წუთიერი-კი არა, სამუდამო იქნებაო.—ბოლოს დროს როგორღაც აღარა სჭიროდა „განცხადებათა“ ძალა. ამ „ობვეშჩენიესაც“ ეს დაემართა. თერთმეტს თებერვალს, ღამე, მეამბოხენი დაეცნენ დართის-კარის პოსტსა და კინაღამ გადასწვეს. ყარაულებმა დროზე შეიტყეს მტრის განძრახვა და ხიფათს გადაარჩინეს დართის-კარის პატარა ციხე.

თებერვლის 12-ს პოდპოლკოვნიკი უმაკოვი მუხრანს ავიდა. შესვენებით არც-კი შეუსვენია უმაკოვს და ხუთი როტა ჯარით დუშეთისაკენ გასწია. მჭადის-ჯვარს რომ გასცდა, უმაკოვი წააწყდა მეამბოხეებს, რომელთაც უტეხ ტყით დაბურულ გორაზე სანგრები დაემართათ. ეკვეთნენ მტერნი ერთმანეთს. მარკიზი პაულუჩჩი მოახსენებს იმპერატორს, რომ უმაკოვმა დიდად დაამარცხა მტერი, ბევრი მეამბოხე მოჰკლა და დუშეთამდის სდია გაქცეულ მტერსაო. ადვილი დასათვლელი იყო მოკლულთა რაოდენობა, მაგრამ არაა ცნობა, რა ზარალი მოუვიდათ აჯანყებულთ. დაღამებისას უმაკოვმა უწია დუშეთს, მაგრამ ვერ გაბედა იერიშით მისულიყო ციხეზე. ციხიდან დუშელებმა თოფები დაუშინეს უმაკოვს. გათენებისას პოდპოლკოვნიკი უმაკოვი მიუხტა დუშეთს, აიღო ფორშტადი და შემდეგ თვით დუშეთის ციხე. ბრძოლა გაგრძელდა სულ ორ საათს. ციხეში თურმე 30 მეციხოვნე ყოფილიყო და ეს 30 კაცი ორ საათს ებრძოდა ქართველ გრენადერთა პოლკის ხუთ როტას, რომელშიაც სულ ცოტა ხუთასი კაცი იქნებოდა. უმაკოვის მოწმობით, ძალიან ბევრი მეომარი მოუკლიათ მეამბოხეებსაო ორთავ შეტაკებაში, მჭადის-ჯვრის სერებზე და დუშეთზე, თვითონ კი ეს ზარალი მოსვლია: მოუკლეს 10 ჯარის-კაცი; დაიჭრა კაპიტანი თ. ივ. ნ. აბხაზი (რუსულად: აბხაზოვი) და 22 ჯარის-კაცი. 102).

პოდპოლკოვნიკი უმაკოვი დუშეთისაკენ რომ წავიდა მჭადის-ჯვრის გზით, მისწერა წიგნი დართის-კარში კაპიტან საგინაშვილს, დუშეთისაკენ წამოდი და მომეშველეო. საგინაშვილმა 11 თებერვალს წაიყვანა სამი როტა ჯარი, 40 უაზახი და გასწია დუშეთს. თანა ჰქონდა ერთი ზარბაზანი. გზა ტყე-ტყე მიდიოდა, გაიარა თუ არა ექვსიოდე ვერსი, საგინაშვილს წრე შემოავლეს მეამბოხეებმა და თოფები დაუშინეს. იქვე ბრძოლის დასაწყისში საგინაშვილი მძიმედ დაიჭრა; მისი მაგიერობა იკისრა პორუჩიკ ცაცამ, მაგრამ ეს აფიცერიც დაიჭრა. დარჩა რაზმი უკამანდიროთ.

ბრძოლა გამწვავდა. მეამბოხეთა რიცხვი მატულობდა და 1500 კაცამდისინ ავიდა. რაღა უნდა ექნა საგინაშვილს? მტრის გარღვევა რადგან შეუძლებელი გახდა, უბრძანა ჯარს უკან დაბრუნებულიყო და იმავ საღამოს დართის-კარში ჩამოვიდა, საგინაშვილის რაზმი. ზარალი აგრე რიგად დიდი არ მოსვლია საგინაშვილს: მოუკლეს 6 ჯარის კაცი; დაუჭრეს სამი აფიცერი და 18 ჯარის კაცი. მოუკლავთ აგრეთვე ერთი ქართველი თავადიშვილი სოლომონ მაღალაშვილი. 103).

სულ სხვანაირად აგვიწერს ბატონიშვილი დავით ბრძოლის ამ ეპიზოდს. აი რას მოგვითხრობს მემატიანე: „მაშინ არაგვის პირმანცა აღადგინა შფოთი პირისპირ რუსთასა; შთაეხმარნენ ფშაველნი და მოჰკვეთნეს ყოველნივე მუნ მყოფნი რუსნი ფასანაურსა და ანანურსა, ხოლო კომენდანტი ანანურისა გამაგრდა ციხესა შინა. მაშინ ბარონ კლოტმან დიანარალმან, რომელიცა იყო მოადგილედ მარკიზისა ტფილისსა, ვინაიდან მარკიზი ჟამსა მას იმყოფებოდა ბაქოს, წარავლინა არაგვიანთა ზედა პოლკოვნიკი უმაკოვი ათასითა მხედრობითა და მუხრანის ბატონიშვილი კონსტანტინე, ძე იოვანე მუხრან ბატონისა, წარატანა თანა, რამეთუ ესე კონსტანტინე იყო ფრიად ერთგული რუსთა და არა კეთილობისა მოსურნე ქართველთა და მოვიდა კობიანთკარს და დაესხა კობიანთ თავსა. იქმნა მუნ ბრძოლა ძლიერი, იძლივნეს რუსნი და მოკლეს რუსი ასორმოცდა ათი კაცი და ღამემან გაჰყარნა. მაშინ კონსტანტინემან დაუწყო ტკბილი საუბარი, მაიტყუა ფიცით სამოცდაათნი კაცნი არაგვის პირისანი—და უსჯულო სვინიდისო!—და სრულიად მოაშთობანნა იგინი რუსთა (ესე იგი დახოცეს.); [illegible] კობიანთკარი და დუშეთი, გარდავიდა რუსთა მხედრობითა, მოწვა ანანური, პასანაური და [illegible] ძორი. ჟამსა ამას მოვიდა [illegible] სხვა ახალი სამასი კაცი რუსთა მხედრობა. იქმნა მუნ ბრძოლაი. იძლივნენ რუსნი [illegible] თგან, მოკლეს წინამძღვარი მათი [illegible] მაღალაშვილი სოლომონ, ძე დავითის და დაჰკოდეს კაპიტანი საგინაშვილი ზურ[illegible], ძე ბასილისი. [illegible] კონსტანტინემან, [illegible] ანანურით [illegible] და მიაწყვლინა [illegible] სრულიად“.

მარკიზი არ [illegible], მართლა დაახბინა კონსტან[illegible] მუხრან ბატონი 70 კაცი [illegible] გვის პირის [illegible] მემატიანე დავითი გადაჭრით ამბობს ამ საშინელ ამბავსა და შეწუხებული-აღშფოთებული კილოთი ღაღადებს: აი უსჯულო [illegible] სვინიდისოვ!

საჭიროა სხვა ისტორიული საბუთი, რომ ბრალიანს ბრალი დავდოთ და თუ კონსტანტინე უდანაშაულოა, ეს საშინელი მსჯავრი ისტორიისა [illegible]

ა. ფრონელი

[illegible]) იხ. Акты, [illegible] V გვ. 70—74; утв., ტ. II გვ. 360.

[100]) ibid. გვ. 71. კარგი სიტყვაა ხმარებული მარკიზის [illegible] მოხსენებაში იმის გამოსახატავად, თუ როგორ აპირებდა ისპრავნიკი ანანურში შესვლას,—„покусился было пробиться въ крѣпость Ананурь сквозь мятежныя толпы“.

[101]) ibid. გვ. 71. რუსულად: „также вѣрный и усердный къ Россiи“.

[102]) ibid. 73.

[103]) ibid. გვ. 73.

ქვეყნის ყველა კეთილ-მოაზრე ელემენტებს, ხელი შეუწყონ ერთმანეთზე ამხედრებულ მეზობლების შერიგებას და დამშვიდებას. ჩვენ ადვიარებთ, რომ მხოლოდ სამართლიანად და მიუკერძოვად საქმის განხილვას შეუძლიან დაამშვიდოს აღელვებული მოზირდაპარენი. ქართველები თავის ინიციატივით კისრულობენ შეეცადონ, ეს ორი გადამტერებული ერი ერთმანეთს შეარიგონ“.

რუსეთის ქრონიკა

ტერორისტის დასჯა. ვარშავის სამოსამართლო პალატამ 7 ივნისს ერთის წლით საპყრობილეში დაპატიმრება გადაუწყვიტა მოქალაქე ლასკოვსკის, რომელიც ტერორისტთა მებრძოლ ორგანიზაციას ეკუთვნოდა. მიზანი ამ დაწესებულებისა ის არის, რომ ყუმბარებითა და სხვა ასაფეთქებელ იარაღით მოიშორონ თავიდან პარტიის მიერ თვალში ამოღებულნი პირნი. („რ. ს.“).

„რუს. ს.“-ში ვკითხულობთ: 7 ივნისს მისიონერის კრიუჩკოვის თანადასწრებით მოხდა „სტაროვერების“ დისპუტი. დისპუტს არეულობა მოჰყვა. ეკლესიიდან ხალხი დაითხოვეს. სტაროვერები საკურთხეველში დაიმალნენ. ეკლესიასთან დიდ-ძალმა ხალხმა მოიყარა თავი და მოსთხოვა ადმინისტრაციას, სტაროვერები ხელში მოგვეცით გასასამართლებლადაო. გუბერნატორის ჩარევამაც უნაყოფოდ ჩაიარა. ღამის ათ საათზედ სალდათებმა სროლა დაიწყეს. 14 კაცი მოჰკლეს და ორმოცამდე დასჭრეს. მაღაზიები და სახელოსნოები დაკეტილია.

ახალი ცვლილება საზღვაო სამინისტროში. „ეკო დე პარი“-ს ატყობინებენ: რუსეთის ფლოტის გენერალ-ადმირალის სამსახურიდან გამოსვლა საზღვაო სხვა ცვლილებებსაც გამოიწვევსო. უწინარეს ყოვლისა სამსახურს თავს ანებებს საზღვაო ადმირალი აველანი. აველანის მოადგილედ, როგორც ჩვენს გაზეთშიაც იყო მოხსენებული, ასახელებენ ადმირალებს დუბასოვს, ჩუხნინსა და ბირილევს, რომელთა შორის უპირატესობა ეძლევა ბირილევს, რომელმაც დიდად ისახელა თავი კრონშტადტში მეორე და მესამე ესკადრების მომზადების დროს. გარდა ამისა, განზრახულია დაარსება „საიმპერატორო საზღვაო კაბინეტისა“, რომლის მეთაურად იქნება ადმირალ როჟესტვენსკი, უკეთუ ავადმყოფობა ხელს არ შეუშლის.

საზოგადო მობილიზაცია. „ეკო დე პარი“-ს სიტყვით, ივნისის გასულს რუსეთში საზოგადო მობილიზაცია გამოცხადდება, თუ იმ დრომდი მოლაპარაკება ზავის შესახებ საკეთილოდ არ დაბოლოვდაო. („ბ. ვ.“).

ცეცხლისაგან ზარალი. როგორც მოსკოვიდან „ბირ. გაზ.“ ატყობინებენ, საინტენდანტოში ცეცხლის მსხვერპლად გამხდარა შორეულ აღმოსავლეთში გასაგზავნი სურსათი, სულ 700.000 მან. ღირებული.

რკინის გზის მოსამსახურეების განცხადება. ნიკოლაევის რკინის გზის ბევრს მოსამსახურეს, რუსულ გაზეთების სიტყვით, გადასახადთა სამსახურის უფროსისათვის განცხადება მიუციათ. მოსამსახურენი სწერენ, ომის საჭიროებისათვის ჩვენ ჯამაგირებიდან ფულს ვეღარ გავიღებთო („ნ. ვ.“).

გლეხთა გადასახლება. უმაღლესს მთავრობას განზრახვა აქვს უკეთ მოაწყოს შიდა რუთიდან განაპირა ადგილებში რუსის გლეხის გადასახლების საქმე. ფიქრობენ, ამ გადასახლების საქმისთვის განსაკუთრებული უმაღლესი სამმართველო დააწესონ. („ბ. ვ.“).

რუსეთის მემამულეთა კრება. გაზ. „რ. ს.“ სწერენ მოგილოვ-პოდოლიიდან, რომ 7 ივნისს დიდი ყრილობა ჰქონიათ ადგილობრივ მემამულეებს გლეხთა მოძრაობის შესახებ მოსალაპარაკებლად. კრება ვერავითარ გადაჭრილ აზრს ვერ დაადგა და ამ საქმის გამორკვევა განსაკუთრებულ კომისიას გადასცაო. („რ.“)

ციგნებში გამოწვეული არეულობა. ქ. სიმფეროპოლში მცხოვრებნი დიდად ააშფოთა ციგანთა სლობოდკაში მომხდარმა ამბებმა. ეს რამდენიმე დღეა მკვიდრნი თავის კანონით ასამართლებენ ციგნებს, რომელთაც ქურდობასა და მტაცებლობას აბრალებენ. ხუთი მოუკლავთ და ექვსი დაუჭრიათ. ციგნებს თავს დასცემია სამასამდე კაცი. მონაწილეობას იღებენ თურმე დედაკაცები და ბავშვებიც-კი. მშვიდობიანობის დასაცველად ყირიმის დივიზია გაუწვევიათ. („რ. ს.“).

თოფის სროლაში ვარჯიშობა. 7 ივნისს ქ. მინსკში პოლიცია თავს წაადგა ქალაქის განაპირა უბანში შეკრებილ ახალგაზრდობას, რომელიც თოფის სროლაში ვარჯიშობდა. ვერ გაიგეს, რისთვის ემზადებიან ეს ყმაწვილი კაცები. პოლიციამ 42 კაცის გვარი ჩაიწერა. („რ. ს.“).

ოთხი მკვლელობა. „რ. ს.“ სიტყვით, ეკატერინოსლავის მაზრის ს. კამენსკოეში. ერთ ღამეს ოთხი მკვლელობა მომხდარა, რის გამოც ხალხი მეტად თავზარდაცემულია.

პრესსა

მოგვყავს გაზეთ „მოგზაურიდან“ ბიოგრაფიული ცნობები განსვენებულ ალ. წულუკიძის შესახებ. ალ. წულუკიძე დაიბადა 1876 წ. 1 აგვისტოს დ. ხონში მდიდარ თავადიშვილის ოჯახში. პირველ დაწყებითი სწავლა ჯერ საკუთარ სახლში მიიღო და შემდეგ ქუთაისში კერძო პანსიონში. აქედან გადავიდა პროგიმნაზიაში. სასწავლებელში კარგად სწავლობდა, მაგრამ თავისუფლად გაზდილი, დამოუკიდებელ ხასიათის მქონე ყმაწვილი სასკოლო რეჟიმს ვერ შეურიგდა და „ყოფაქცევაში კოჭლობდა“. პროგიმნაზიის დასრულების შემდეგ გადავიდა გიმნაზიაში. მაგრამ აქ კიდევ უფრო ვერ შეეთვისა სასკოლო სულის შემხუთავს წესწყობილებას და მალე იძულებული შეიქნა თავი დაენებებინა გიმნაზიისათვის. 1896 წელს ქუთაისში გაეცნო იმ მიმართულებას, რომლის სამსახურს შესწირა მთელი თავისი ხანმოკლე სიცოცხლე. შეუდგა თვით განვითარებას და მხურვალე მონაწილეობას იღებდა ახალგაზდობის წრეში და ყველას ყურადღებას იპყრობდა თავისი ლოღიკურის და ცოცხალის ლაპარაკით. ერთის წლის შემდეგ გაემგზავრა მოსკოვში და იქ მეცადინეობდა უნივერსიტეტში, როგორც თავისუფალი მსმენელი. ამავე დროს ემზადებოდა გიმნაზიის ატესტატის მისაღებად, მაგრამ მალე უკუაგდო ეს აზრი და მარტო მეცნიერებას ჩასჭიდა ხელი. ავადმყოფობამ ნება არ მისცა დიდხანს დარჩენილიყო რუსეთში და 1899 წ. დაბრუნდა სამშობლოში. შეირთო ცოლი და დაბინავდა ტფილისში. აქედან ბათუმში გადასახლდა მატერიალურად უზრუნველყოფისათვის. ორი წლის შემდეგ ისევ ქუთაისს დაუბრუნდა... „ასეთი იყო საშას ხანმოკლე სიცოცხლე. ყოველგან ის საქმის შუაგულში იყო და ეწეოდა ბრძოლას ცხოვრების ზედაპირზეც და თვით შუაგულშიც. იყო თანამოზიარე და მონაწილე დიდი ბრძოლისა და ამ ბრძოლის ასპარეზზე დალია სული“.

სოხუმის ცხოვრება

რა მოუტანეს ქალაქს ძალად მაცხონე თავებმა.—ძველის თავების გაქცევა და ახალის იმედები.—ქართული წირვა.—გაფიცვა და ცემა-ტყეპა.

როგორც უკვე გაზეთებში იყო გამოქვეყნებული, ჩვენი ქალაქი ისევ დაობლდა: ქალაქის თავმა ბ-ნმა ტომარამ ხელი აიღო თავის თანამდებობაზე, იმ თანამდებობაზე, რომელიც ხელთ იგდო ადმინისტრაციის წყალობით. ჩვენთვის ეს ამბავი არ ახალია, ძველია, ახალი თავიც ძველის თავის წინამოადგილეების მიერ გაკვლეულს გზას დაადგა—მასსავით თავის ნებით უარჰყო ეს საპატიო ადგილი.

ჩვენის ქალაქის თვითმართველობის თავგადასავალი ადამიან-მოქალაქის უფლებათა მარტიროლოგიაა, წამებაა. თითქოს იმისთვის მიეცეთ სოხუმის მოქალაქეთათვის ნასახი შინაური საქმეების შინაურულად გამგეობისა, რომ ეჩვენებინათ, როგორ ულმობლად და წარბშეუხრელად შეიძლება აქ არსებულის კანონის შელახვა. თავისუფალ ერის მომავალ ისტორიკოსს გულტკებ უფლებას მათი საქმენი საგმიროთ გამოამზეურობს, მე-კი მხოლოდ შევნიშნავ, რომ არც ერთ ქალაქის თავად საზოგადოების მიერ არჩეული პირი არ დაუმტკიცებიათ, თუმცა ერთი ბეწო მიზეზიც არ ჰქონდათ საამისო გარდა ამისა, რომ ქართველები იყვნენ. მათ მაგიერ-კი დღეს ათვალისწინებული, გარნა ერთს დროს უძლეველი და უშიშარი ბიუროკრატია ნიშნავდა მღვრიე წყალში ბედის მაძიებელთ—ჩრდილოეთიდან ჩვენს მშვენიერს სოხუმში საარშიყოდ გადმოხვეწილთ, მათი სახელი აქ მუდამ ლეგიონია. რასაკვირველია ქვეყნიერობა: ზოგს ჯორს, ანდაზისა არ იყოს, სარგოთ გაუხდის, ზოგს „სარგოს“ ჯორად:—ჩვენი ქალაქი თავის მშვენიერმა ადგილმდებარეობამ დაღუპა!

პირველად ქალაქის თავად ადმინისტრაციამ ვიღაც ბერენსი, რომელიც შიდა გუბერნიებიდან მართლმსაჯულებას გაექცა, დანიშნა ქალაქის მსუქან „დუმის“ საძიძგნელად და აგი სანამდის შეეძლო, ძიძგნა და ძიძგნა, კბილები რო დაუჩლუნგდა—გაიპარა. მას ეს გელობა ჩამოართვა ექიმმა დმიტრიევმა. ვერც ამან მოინელა ქალაქის „დუმა“—ალბად, უმად ეჩვენა, მოხარშვის უნარი არა ჰქონდა და გაიპარა. დიდის ხნის უთავობის შემდეგ ქალაქს ახალი თავი, დიდ მადიანი თავი გაუჩნდა ბატონი ტომარა. სიმართლე მოითხოვს აღვნიშნო, რომ მისი მადა ცოტათი შელაგმული იქნა—საერთო-ერთობის ბანკი ჩამოაცალეს, ალბად შეეშინდათ, თუმცა ჯანსაღია, მაგრამ ქალაქის „დუმასაც“ და და ბანკსაც ორივეს ერთად ვეღარ მოინელებსო, თუმც გამძღოლსა და გამომძღოლს ეფიცებოდა, ჩემი კუჭის ამბავი მე უკეთ ვიცი—მოვინელებო! ბატონი ტომარაც მოშორდა ქალაქს. საგულისხმიეროა, რომ ყველა ამ ვაჟბატონთა საგმირო მოღვაწეობა თითქოს განგებ ერთ კალაპოტში ჩამოასხესო: ჯერ საზოგადოების წინაშე დაქუცუ—ამოვგორჩიეთო,—ეს რომ არ გაუვიდათ, უოვლად შემდეგ ძალის წყალობით გაბატონება, ბოლოს სიმართლეს რომ ვეღარ უძლებენ, გარბიან სირცხვილეულნი იქით, იმ მხარეში, სადაც მეტი სიბნელეა. ერთმა ამ სამებათაგანმა შემდეგი კლასიკური ფრაზა წარმოსთქვა: „თუ რუსეთში კონსტიტუცია შემოიღეს, მე სპარსეთში უნდა გადავიხვეწოვო!!“ აი რა პირებს გვიყენებენ ჩვენ მამა-პატრონად.

ასე თუ ისე ამისთანა მძიმე და საზოკადო მოღვაწისათვის სახარბიელო დროს ბატონი ტომარა თავის ბარგი-ბარხანას ჰკრავს და მიდის. უკეთ უკვე წავიდა.

სადაც არა სჯობს გაცლა სჯობს
კარგისა მამაცისაგანო,

სთქვა პოეტმა. მართლა სიმამაცე მაშინ იქნებოდა, რომ იმ თავითვე გაქცეულიყო: იმ ქალაქის თავად არ უნდა გამხდარიყო, რომლის (ქალაქის) ხმოსნობის ღირსადაც ვერა სცნო საზოგადოებამ.

ბატონი ტომარა მოშორდა ქალაქის საქმეებს, და ქალაქი დაობლდა, მაგრამ რას ვამბობ? უთავო „თავების“ ხელში ჩვენი ქალაქი როდის არ იყო ობოლი? ეხლა მაინც გვწორია სოხუმელებს დიდი მეცადინეობა, რომ ნამდვილი გულ შემატკივარი ადამიანი მოვუპოვოთ ჩვენს ქალაქს თავად. ეხლა მეტი მეცადინეობა და უნარი გვწორია, რომ არა სასარგებლო ადამიანი ბატონ-პატრონად არ გავიხადოთ. გვეყო ამდენი უთავობა და წვალება, გვეყო ფეხქვეშ ხოხვა და დაქცევა. ავირჩიოთ ჩვენთვის სასარგებლო კაცი, ეხლა მაინც არ უნდა გვქონდეს შიში, რომ არ დაგვიმტკიცებენ.

ზოგიერთები ამ ადგილზედ ასახელებენ თავ. ნიკო ვარამანის ძე თავდგირიძეს.

5 ივნისს, ათის წლის შეწყვეტის შემდეგ, პირველად სწირეს ქართულად სოხუმის ახალ ეპისკოპოსის ნებართვით ეპისკოპოსის კარის ეკლესიაში. ეპისკოპოსმა განაცხადა, რომ სარწმუნოება და ენა თავისუფალი უნდა იყოსო.

ქალაქ სოხუმში ყველა დუქნები დაკეტილი იყო 24—28 მაისამდის. მოძრაობა ერთიანად შესწყდა, დროგები და ეტლები, მათთან მენავეებიც გაფიცულნი იყვნენ. გაფიცვის მიზეზი უმიზეზოდ განდევნაა ეგრედ წოდებულ „მატროსთა უბნის“ არენდატორებისა.

25 მაისს მობურთავე ახალგაზდობას გაერივნენ „სტრაჟები“, ყაზახი-რუსები და სამხედრო გემების მატროსები. მძიმედ გაილახა 30 კაცი, დაჭრილია 8 კაცი. ეს საქმე გამოიძია გენ. მახაილოვმა. საარაკო საქმეა, მაგრამ ჩემდა უნებურად ვსდუმ. **სოხუმელი.**

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან„
13 ივნისი

ხარკოვი, 13 ივნისი. სუმის მაზრაში დაწყებულმა აგრარულ მოძრაობა სხვა მაზრებშიაც აიჩინა თავი. მოძრაობას ყველგან, ლებედინის მაზრას გარდა, მშვიდი ხასიათი აქვს მცხოვრებლები სთხოვენ მიწის მფლობელთ, დაგვითმეთ სათესი და საძოვარი მიწებით. მიწების პატრონთა და გლეხებს შორის მშვიდობიანი შეთანხმება ხდება.

ბელოსტოკი, 12 ივნისი. 10 ივნისს გოროდოვოი მასკერის მოკვლას პირადი სარჩელი აქვს. გუშინ საღამოს ვიღაცეებმა საქალაქო ტყეში გრენადას ესროლეს, სადაც მოაგარაკენი ისხდნენ და საშიშრად დასჭრეს ერთი ქალიშვილი.

ვარშავა, 12 ივნისი. გუშინ საღამოს ვოლვკის უბანში უცნობთ მძიმეთ დასჭრეს პოსტზე მდგომი გოროდოვოი.

მოსკოვი, 12 ივნისი. დღეს მაძიების სობოროში წირვა გადაიხადეს, რომლის შემდეგ მიტროპოლიტმა წარმოსთქვა სიტყვა ომზე და შინაურ არეულობაზე, და ახნუსხა, რომ არეულობის მიზეზი იმაშია, რომ ჩვენ გვსურს ჩვენი ძირიადი წეს-წყობილება, სარწმუნოება და სახელმწიფოებრიობა უარვყოთ და დასავლეთიდან ავიღოთ ნიმუშიო. ამის შემდეგ კრასნი პლოშჩადზე მიტროპოლიტმა, ხალხის თანადასწრებით. პარაკლისი გადაიხადა რუსის იარაღის გამარჯვებაზე.

პარიჟი, 12 ივნისი. ბერტომ სეტვეს წარმოსთქვა ვერსალში გოშას სახსოვარ დღესასწაულზე და, სხვათა შორის, სთქვა, რომ ფრანგ-აფიცრების შედარება შეიძლება ყველა ქვეყნის აფიცრებთან, საფრანგეთი იცავს პროგრესის ინტერესებს, საყოველთაო თავისუფლებას და ძმობას.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
13 ივნისი

გუნჯულინი, 12 ივნისი. (საკუთ. კორესპ.) გუნჯულინის წყნარი ცხოვრება შემდეგმა შემთხვევამ დაარღვია. დარჯის მხედველობის ქვეშ მყოფი ხუნხუზები უცაბედათ დაეცნენ დარაჯს, დასწვეს ბარაკი, საცაისინი იყვნენ დამწყვდეული და გაქცევა უნდოდათ ღამის სიბნელის შემწეობით. დარაჯმა ესროლა, რამაც ალიაქოთი და თოფების ბათქი-ბუთქი გამოიწვია. ჩქარა დაიჭირეს ხუნხუზები და დაწყნარდა ალიაქოთი. ორი ხუნხუზი და ერთი სალდათი დაჭრილი არიან.

ტოკიო, 12 ივნისი. ოფიციალური დეპეშა იუწყება ინჩენთან ბრძოლის შესახებ, რუსებმა პანჩენცხის ჩრდილო-დასავლეთით მაღლობებზე მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს იაპონელებსო. და ბოლოს იაპონელებმა ენერგიული იერიში მიიტანეს და ხელთ-იგდეს რუსების პოზიცია. იაპონიის წინა რაზმებმა წინ გაიწიეს 25 მილზე კიან-სენის ჩრდილოეთით. იაპონელების ყველა დიდი ცენტრები ოიამას სალდათებით არიან სავსე. მუდამ დღე უგზავნიან მაშველებს, მიუხედავათ ცუდის ტაროსისა. კორესპონდენტების დეპეშებიდან სჩანს, რომ იაპონიის ჯარები შეუპოვრად ილაშქრებენ წინ გირინ-ჩანჩუნისკენ.—უკანასკნელის ცნობებით ლინევიჩს ჰყავდა 171 ათასი კაცი, როცა სარდლობა ჩაიბარა; ამის შემდეგ მას მიემატა 135 ათასამდე, მაშველი ჯარი და მუკდენის ბრძოლის შემდეგ, ალბათ, 5 ათასი დაჭრილი და ავადმყოფი მორჩნენ და რაზმში ჩადგნენ. ჩანჩუნის გარეშემო 40 ათასზე ნაკლები ჯარია,—ამ ჟამად იაპონიაში 40 ათასზე მეტი ტყვეა, მათ რიცხვში 3 გენ.-ლეიტენანტი და ვიცე-ადმირალი და 7 კონტრ-ადმირალი და გენერალ-მაიორი.—8 ივნისს სინიანჩენთან ბრძოლაში 2 ათას რუსს მიუღია მონაწილეობა სამის ზარბაზნით. იაპონელებს 6 კაცი მოჰკლეს და 35 დაუჭრეს. რუსებმა ჩინურ ურმებით წაიყვანეს თავიანთ დაჭრილების ერთი ნაწილი.

ნაგასაკი. ვლადივოსტოკის არმიაში ნამსახური ტყვეები ამბობენ, მეციხოვნე ჯარს სამი კორპუსი შეადგენს დაახლოვებით მუდამ დღე ვლადივოსტოკში ათას-ათასი მაშველი მოდის. აგეს ახალი დამცველი შენობები. კრეისერები „ბოგატირი“, „როსსია“ და „გრომობოი“, და კიდევ ორი ჯავშნიანი კრეისერი, 5 ნაღმოსანი და სამ წყლის ქვეშ მავალი ნავი ხანდახან გადიან პორტიდან.

პეტერბურგი. „ნოვოსტი“-ს ატყობინებენ, 11 ივნისს სამხედრო საარტილერიო საყუმბარე შენობაში, ყუმბარების გატენის დროს მოხდა საშინელი აფეთქება, რამაც მოჰკლა პოდპოლკოვ. რასევიჩი და ორი ბომბარდირი. მთელი შენობა დანგრეულია.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ვ. ჯაბადარი**

განცხადებანი

ხუთი ახალი წიგნი
წიგნის მაღაზია „ცოდნა“ გამოცემა

სამშობლოსათვის თავდადებულნი . 40 კ.
რუსეთის დამყარება საქართველოში—20
ათი მოთხრობა ივ. მაჭავარიანისა—20
ხალხური ვეფხის ტყაოსანი . . . 10
იაპონია ნ. ნიკოლაძისა 20

დარბაზის ქედლუცად მოსართავი სურათები:

შოთა რუსთაველისა დიდი 50 კ. აკაკისა 40 კ. ილია ჭავჭავაძისა 40 კ. რაფიელ ერისთავისა 40 კ ნ. ბარათაშვილისა 50 კ., გიორგი წერეთლისა 30 კ. ირაკლი მეფისა 30 კ. ეგნატე ნინოშვილისა 30 კ., ჯგუფი ქართველ მწერალთა 75 კ., ჯგუფი თამარ. ვეფხის ტყაოსნის მირთმევა 40 კ. საქართველოს დიდება 1—20 კ. თამარ მეფის დიდი სურათი 1—50 კაპ. პატარა 6 კაპ.

და სხვა ყოველგვარი წიგნები.

მოსამართი: ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“ **სოსიკო მერკვილაძე.** (20—10)

საბუხჰალტერო და საკანტორო
საქმეების კურსები

ტფილისის საკომერციო სასწავლებელში.
(წელიწადი მეექვსე)

კურსებზე ასწავლიან: ბუხჰალტერიას, საკომერციო არითმეტიკას, საკომერციო მიწერ-მოწერას და სავაჭრო წესს.

სწავლა იწყება 1905 წლის 15 სექტემბრიდან. მთელი კურსი 6 თვეზე ნაკლებ ხანს არ გასტანს. საღამოობით მეცადინეობა სამჯერ არის კვირაში. მსმენელებად შეუძლიანთ იყვნენ ორივე სქესის ნასწავლი პირნი. მთელის კურსის ფასი 40 მანეთია.

თხოვნები ტფილისის საკომერციო სასწავლებლის დირექტორის სახელობაზე მიიღება ყოველ დღე, დილის 10-დან 1 საათამდის სასწავლებლის კანცელარიაში. (4—251—2)

ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოებსი ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
С.ПЕТЕРБУРГЪ

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ნარდად გაყიდვა

სავაჭრო სახლის
„ლეოპოლდ ნეიშელლერ“-ის
საქონლისა ხწარმოებს ერევნის მოედანზე. ტელეფონი № 346. იქვეა მრავლად
ტყავეულობა
რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა. (60—ნ.—49)

ბეჟია ქალი

სოფიო ილიას ასული ლოკშ-გელბორდტი გადავიდა ხაზინის ქუჩ. № 7 ს. კნ. თუმანოვისა, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (თვ.—255—3)

იბეჭდება და ჩქარა გასასყიდად გამოვა გრ. ჩარუხჩიანის ნაწერი

„სომეხთა საკითხი რუსეთში“

ფასი 15 კაპ. ადრესი: ტფილისი ბროსსეს ქუჩა, № 5, ა. ა. ოვანესიანცი. (2—256—2)

დამზღვევი საზოგადოების „როსიის“ მართველობა— ს.-პეტერბურგში ყველას და საცნობლათ აცხადებს, რომ ივანე ეფიმეს-ძე მასლოვსკი, ამიერ კავკასიის რკინის გზათა სადგურ აბაშის სადგურის თანაშემწე, აღნიშნულ საზოგადოების აგენტათ აღარ ითვლება.

(3—260—2)

ქუთაისში

სპ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვისა, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

Доз. ценз. Тифлисъ. 13 Іюня 1905 г. Печ. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—სა